



ეროვნული
ბიბლიოთეკა

619
1959


დროშა
№ 2 თებერვალი 1959



სკკპ რიგგარეშე
XXI ყრილობა. ყრი-
ლობის კულუარებში, ვი-
ეტნამის მშრომელთა პარ-
ტიის დელეგაციის მეთა-
ური ხო ში მინი და ინ-
დონეზიის კომპარტიის
დელეგაციის ხელმძღვა-
ნელი დ. ნ. აიდიტი ესალ-
მებიან ერთმანეთს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის დელეგატების ჯგუფი კრემლის
დიდი სასახლის გიორგის დარბაზში.
(საკდესის ფოტოქრონიკა)





გამოცემის VIII წელი.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერაციო-სამეცნიერო ჟურნალი

კომუნისტების მშენებელთა ყრილობა

27 იანვრიდან 5 თებერვლამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობა.

ამ ყრილობამ ამცნო მსოფლიოს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში ღრმა გარდაქმნების შედეგად და სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდი.

ყრილობამ ერთხმად მოიწონა ნ. ს. ხრუშჩოვის თეზისები და მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების შესახებ 1959-1965 წ. წ.

ყრილობამ დამტკიცა შვიდწლიანი გეგმა, რომელიც კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას წარმოადგენს.

შვიდწლიანი გეგმის ძირითადი პრობლემაა კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჭიბრებაში დროის მაქსიმალური მოგება.

გაივლის შვიდი წელი და ხალხის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება, საბჭოთა ადამიანები იცხოვრებენ კიდევ უფრო უკეთესად და კიდევ უკეთ დაიკმაყოფილებენ თავიანთ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს.



მშობლიური პარტიის XXI ყრილობის დადგენილებები დიდი აღფრთოვანებით მიიღო საბჭოთა ხალხმა.

შვიდწლიან გრანდიოზულ გეგმის განხილვასა და დამტკიცებაში მონაწილეობას ღებულობდა მთელი საბჭოთა ხალხი.

საერთო კრებებზე, სადაც ირჩეოდა შვიდწლიანი გეგმა, 70 მილიონი კაცი ესწრებოდა, 5 მილიონმა კაცმა მიიღო მონაწილეობა აზრთა გაცვლა-გამოცვლაში. გარდა ამისა, ყურნალ-გაზეთების რედაქციებში რამდენიმე ასეული ათასი წინადადება შემოვიდა.

ეს არის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში საყოველთაო სახალხო მონაწილეობა, ეს არის პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია გააკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ შვიდწლიანი გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდეს და ამით კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება.



1959

პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა აშხანავი ნ. ს. ხრუშჩოვი

ს.კ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



საბჭოთა საქართველოს მწერლები V ყრილობაზე

ფართო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესით ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერლების V ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მწერლები, არამედ ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, მკითხველთა აქტივი.


ყრილობას ესწრებოდნენ მოძვერესპუბლიკების მწერალთა კავშირების წარმომადგენლები — ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მწერლები.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ანგარიში (მომხს. ირ. აბაშიძე) და სარევიზიო კომისიის მოხსენება (მომხს. ი. ლისაშვილი).

ყრილობამ აირჩია გამგეობა და საბჭოთა კავშირის მწერალთა III ყრილობის დელეგატები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. მ. გ. ბ. მკვათაძე ესაუბრება გამოჩენილ რუს მწერლებს ბ. პოლევოისა და ა. სოფრონოვს.



საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ირაკლი აბაშიძე ანგარიშს აბარებს მწერალთა V ყრილობას.

ყრილობაზე საქუჩინის პირველმა მალაზიამ ბევრი საინტერესო წიგნი გამოიტანა გასასყიდად.



დარბაზი ოგაციებით ხვდება ყრილობის გახსნას.

მიხილ მარჩილაშვილი და მისი ბრიგადა

კ. ნელასუჩაილი

რატომ მიენიჭა გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიხილ მარჩილაშვილის № 7 ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი? თანაც მიენიჭა ერთ-ერთ პირველთაგანს, მაშინ, როდესაც რესპუბლიკაში ათეული და ასეული ბრიგადები იბრძვიან ამ წოდების დასამსახურებლად?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის: — აი, ბრიგადის შრომითი მაჩვენებლები: 17,6 ჰექტარ მოსავლიან ვენახში ბრიგადამ საშუალოდ 172 ცენტნერი რქაწითელი მიიღო (გავიხსენოთ, რომ 1958 წელს რესპუბლიკაში საშუალო მოსავალი 50 ცენტნერი იყო და ყველაზე უხვმოსავლიან — გურჯაანის რაიონში — საშუალოდ — 71 ცენტნერი), ხოლო მერგოლურ მიხილ არუსტაშვილის რეკორდმა საშუალოდ 222 ცენტნერი ჰექტარზე, და ცალკეულ მონაკვეთებზე — კი 260 ცენტნერიც მიიღო! ბრიგადამ სახელმწიფოს 800 ტონა ყურძენი ჩააბარა კილოგრამი 4 მანეთად და 22 კაპიკად, ხოლო თვითუფლები კილოგრამის თვითღირებულებამ მხოლოდ 69 კაპიკი შეადგინა; ამგვარად, ბრიგადის წმინდა შემოსავალმა მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ბრიგადაში 76 კაცია — მათ 84 ჰექტარი ვენახი აბარიათ — აქედან 17,6 ჰექტარი სრულმოსავლიანია — რქაწითელი და სხვები, ხოლო დანარჩენი ერთი და ორწლიანი ვენახი ჭერა არის. ვენახი რომ მეტად შრომატევადია, ყველამ იცის, მაგრამ მიხილ მარჩილაშვილის ბრიგადაში ორი ადამიანი ერთი ჰექტარის მოვლა-პატრონობას სავსებით აუღის და არა მარტო აუღის, ასეთ სარეკორდო მოსავალსაც მიიღწის. რაუდენ ძამსაშვილის ანგარიშში იმდენივე შრომადღვა ჩაწერილი, რამდენი დღეცაა წელიწადში. არც მეტი და არც ნაკლები. რაუდენი გამოცდილი მევენახეა — მაგრამ მევენახეობაში შრომადღე — ნამდვილად ემთხვევა ერთი დღის შრომას და რაუდენიც დღედაღამე ტრიალებს ვენახში — მას არც მისი მეუღლე თამარი ჩამორჩება, რომელმაც გასულ წელს 220 დღე გამოიმუშავა და არც ვაჟი-შვილი ვალიკო, — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი. ასეთი გამრჩე და გამოცდილი მევენახეები ბრიგადაში ბევრია — ვანო ნატრაშვილი და ომანა დევდარიძე, ილია დანელიშვილი და მიხილ არუსტაშვილი, მაგრამ ძამსაშვილების ოჯახი იმითომ დავასახელებთ, რომ მასში სავსებითაა გამოსახული შრომისადმი იმ ახალი მიდგომის მანიშნებელი მხარეები, რომლებიც უფლებას აძლევენ ბრიგადას ასეთი მაღალი სახელწოდება ატაროს. არც ვალიკო ძამსაშვილისათვის და არც მისი მშობლებისათვის არ იყო საყოყმანო სპეციალობის არჩევა — თავის მშო-

ბლიურ სოფელში თავის მშობლიურ საქმეს მოკიდა და არც ინსტიტუტში სწავლა გასძენებია, რადგან, თეორიის ყოველი სიტყვა ვენახში ყოველდღიური შრომით იყო დამოწმებული და დამკვიდრებული... ალბათ, ეს მაგალითი წასაბაძი გახდა, რომ ამ ბოლო დროს საშუალო სასწავლებელდამთავრებულმა მედიკო ჩხეტია. ნმა და ნათელა ამირეჯიბმაც მოაშურეს ბრიგადას...

მაგრამ, ბრიგადის წარმატება სავსებით გასაგები ხდება, როდესაც მის ხელმძღვანელს და ელმპარაკებს და მის საქმიანობას გაიცნობ. კომუნისტი მიხილ მარჩილაშვილი მეხუთე ათეულ წელს ამთავრებს, თუმცა ვენახში — ბრიგადირად მხოლოდ მეხუთე წელი მუშაობს, მაგრამ ისე ძარღვიანად, ჭეშმარიტი მონღომებით და საქმის ცოდნით მოკიდა ხელი ამ საქმეს, რომ სულ მალე ბრიგადა მოწინავე რიგებში ჩააყენა.

თუმცა მიხილი ენაწულიანი ადამიანი არ არის — ერთი გარემოება პირველგაცნობისთანავე იქცევა ყურადღებას — საქმისადმი ნამდვილად შემოქმედებითი მიდგომა. როცა მიხილი ვაზის ახლებურად გასხვლის წესზე ლაპარაკობს — იმ წესზე, რომელიც საფუძვლად დაედო ბრიგადის წარმატებას, მის თვალბრუნებით ალალი სიხარული და გატაცებაა, ჭეშმარიტ პოეტს რომ ახსიათებს აღმაფრენის წუთებში.


გასხვლის ახლად დანერგილმა წესმა: ორი რქისა და თექვსმეტი კვირტის დატოვების ნაცვლად — 4 რქისა და 40-მდე კვირტის დატოვებამ საშუალება მისცა ვაზს გამოეღო უჩვეულოდ დიდი მოსავალი, მაგრამ ამავე დროს ასეთმა მძიმედ დატვირთვამ მოიტოვა ვაზის კიდევ უფრო მეტი მოვლა, მეტი სასუქის შეტანა. ასეთნაირად გასხვლულ ვაზს ახლა სამი მავთულიც აღარა ჰყოფნის და მეოთხე მავთულის დაჭიმვა ხდება საქირო.

ძველი ვენახების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი მათი გამეჩხრება — მიხილ მარჩილაშვილი ფართოდ იყენებს ვაზის გახეივნებას — გამომეჩხრული ადგილას მეზობელ ვაზს უშვებს, ანვითარებს — და 10-15 მეტრის სიგრძეზე ახლა 60 კილოგრამზე მეტ ყურძენს იწვეს. და, ცხადია, ასეთი შრომა თავის ნაყოფს იღებს. გასულ წელს მარჩილაშვილის ბრიგადის წევრებმა შრომადღეზე 82 მანეთი ფულად მიიღეს, ნატურით გაანაწილეს — ყურძენი და ყველი, სიმინდი და ბოსტნეული...

ახალი აღმავლობით შრომობს მიხილ მარჩილაშვილის ბრიგადა — 1959 წელი ხომ ახალი შვიდწლედის პირველი წელია და ბრიგადის ყველა წევრი გამსჭვალულია სურვილით ახალი შრომითი წარმატებებით ასახელოს ხალხი და სამშობლო, რომელმაც მას „კომუნისტური შრომის ბრიგადის“ საპატიო სახელი მიანიჭა.

ფოტოზე (ზემოდან ქვემოთ): მიხილ მარჩილაშვილი და მერგოლური მიხილ არუსტაშვილი ვენახსა სხლავენ; ტექნიკა ახლა ჩვენს ხელშია და კარგად უნდა დავეუფლოთ მას! — ეუბნება ახალგაზრდებს ტრაქტორისტთა ბრიგადირი ვ. გოგიაშვილი; მედიკო ჩხეტია და ნათელა ამირეჯიბი სარებს ამზადებენ; მუშაობა დამთავრდა... ხვალინდელი დღის ამოცანებზე ესაუბრება მიხილი ბრიგადის წევრებს...

ფოტო 3. ჩირბასონისა



ეს ამბავი შეიძლება ასე დავიწყოთ: მშვენიერი დღეა. ქუჩაში ბევრი ხალხია. მიქრიან და მოქრიან უამრავი მანქანები, ტროლეიბუსები, ავტობუსები... დგანან ორსართულიანი, მრავალსართულიანი შენობები. აქ ცხოვრობენ ადამიანები, მუშაობენ, სწავლობენ, ისვენებენ. იძინებენ, ზოგან საცხოვრებელი ბინებია, ზოგან დაწესებულებები, გასტრონომები, წიგნის მაღაზიები, უნივერსიტეტი. სულ შეცვლილია ყოფილი საბურთალოს ბაზრის მიდამოები, აქ რაიმე რიდი სახლი აშენდა. გააანერგა ქუჩები, გალამაზდა, დამშვენდა.

მეიღვიარ და ვფიქრობ: აი, ეს ყველაფერი ჩვენი შექმნილია, ჩვენი ადამიანების ნაშრომი და ნაჯაფარია, რომელ სახლშიც არ უნდა შეხვიდე ყვე-

დენტი ნიკოლოზ ვეკუა. ეს არის ყველაზე წყნარი კუთხე ამ მყუდრო ბინაში. აქ სულ მათემატიკოსები ცხოვრობენ. ისინი სხედან მაგიდებთან და ნაშუადამევაძედ არ აქრობენ სინათლეს, წერენ, ფაქრობენ, ისევ წერენ, კითხულობენ, ინიშნავენ, ასწორებენ...

იქვე ახლოს სავლენ წერეთელი ცხოვრობს, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი. მაღალი კაცი, წარმოსადეგი ვაჟკაცი.

ომის დროს ომში იყო. ბერლინთან იბრძოდა, საომრად სალდათი წავიდა და მაიორი დაბრუნდა. შემდეგ თბილისშია. მეცნიერების მეტად სპატიო და რთულ დარგში მუშაობს. მტკიცე ნებისყოფის კაცია. ლაპარაკობს ღრმად დარწმუნებული. ბევრი სა-

ახლა ისევ თავის სამუშაო ოთახში ზის და ახალი კონგრესებისა და დისპუტებისათვის ემზადება...

კომპოზიტორთა სახლში რომ მივედი, საღამო ხანი იყო. ეს სახლი თითქმის ქალაქგარეთაა. მყუდრო ადგილას. ვხედავ ანდრია ბალანჩივაძე აღის კიბეზე, მე მას შორიდან ვიცი. ანდრია დაბალი კაცი, უწყინარი, ჩუმი. აქ მისი სამუშაო ოთახია, აქვე მუშაობს მისი ვაჟი — ჯარჯი. ანდრია ახლა მეორე სიმფონიის წერს, დღედაღამ დაფიქრებული დადის, ახლაც ჩაფიქრებულია. ხმაურით აღებს კარებს. შედის ოთახში. კარს ხუთავს. მე კიბეზე ავდივარ და კარებზე ვკითხულობ „სულხან ცინცაძე, შოთა მილორავა, ალექსანდრე ბუკია, რევაზ მილორავა, ალექსანდრე შავერზაშვილი, ალექსანდრე ბუკია, რევაზ ლალიძე“. რევაზ ლალიძის კარებთან

მრობს, გულლია და სტუმრის მოყვარული.

რეზო თბილისის მომღერალია, თბილისის თემებზე იტაცებს. თბილისში დაამთავრა საშუალო სკოლა, სწავლობდა მუსიკალურ ტექნიკუმში, აქ გადადგა მან პირველი ნაბიჯი. მისი პირველი ნაწარმოები „მგზავრული“ დიმიტრი არაყვივილმა მოისმინა და თქვა: „ყმაწვილო შენ უნდა წერო“, ეს ბევრს ნიშნავდა...

შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში სწავლობდა ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით. ანდრიას მოწიწებით იხსენიებს. ანდრიას „პირველ სიმფონიაზე“ შეეცვრებოდა. ანორია არის მისი ზომიერი მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი. ახლა რეზო ოპერა „ქრისტინეზე“

კომპოზიტორთა სახლი

ნოღარ ნულისკირი

გოტო ოთ. თურქიასი

ლგან ისინია, — ჩვენი ადამიანები. მაგრამ თბილისში არის სახლები, რომლებსაც მარტო ნომრით კი არ ასახელებენ, ნომერთან ერთად ჩვეულებრივ ამბობენ: „მეცნიერთა სახლი“, „მწერალთა სახლი“, „მხატვართა სახლი“, „კომპოზიტორთა სახლი“ და „სპორტსმენთა სახლი“.

ეს სახლები თითქმის ერთნაირია, თეთრი, მაღალი, მრავალსართულიანი, სადარბაზო შესასვლელით და მოაჯირიანი კიბეებით.

მეცნიერთა სახლი ყველაზე დიდია მათ შორის, სულ ახალაშენებულია, ჯერ აქ კარგად არც კი დალაგებულან. ამ სახლში ცხოვრობენ ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერები. აი, დავსახელოთ რამდენიმე: აკადემიკოსები ბოჭორიშვილი, ანთელავა, მახალდიანი, პროფესორები: შალამბერიძე, გოკიელი, წერეთელი და სხვები.

ერთ-ერთ სადარბაზო შესასვლელში, იქვე, პირველ სართულზე, პროფესორი ლევან გოკიელი ცხოვრობს. მის პირდაპირ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-

დსაო აჩის. დღეს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორია, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს, წერს ფილოსოფიის ისტორიას, აწარმოებს კვლევას დიალექტიკური ლოგიკის პრობლემებზე, აპირებს შრომის დაწერას „ზოგადის“ ბუნების შესახებ“. ერთი სიტყვით, დატვირთულია და მუდამ უდროობას უჩივის. მხოლოდ ერთადერთი დღე აქვს თავისუფალი. ამ დღეს იგი თავისებურად ატარებს, სულ არ ფიქრობს, არც წერს, არც კითხულობს. მიატოვებს თავის საწერ მაგიდას, ჩაიცვამს სანადირო ტანსაცმელს, ხელში თოფს აიღებს და მიდის ქალაქიდან. მისი მუღმივი თანამგზავრებია პროფესორები იოსებ კარბელაშვილი, ნიკოლოზ ვეკუა და პარმენ გუჯაბიძე.

— აღრე კარგად ვისროდი, ტახიც მომიკლავს, შევიცი, ახლა ცალი თვალი დამიზიანდა და მიძნელებდა, — გულნატკენი ამბობს სავლენ.

ველახის მიდამოები, ლიპი, მაღალი მათი სანადირო ადგილებია. როცა ძალღებთა და თოფებით ხელში ტყეში შევლენ, ვინ იტყვის, რომ ისინი სქელტანიანი წიგნების ავტორები არიან, ანდა ხანდაზმული პროფესორები. თუნდაც სულ ხელცარიელნი დაბრუნდნენ, ისეთი კმაყოფილი არიან, თითქოს დათვი მოეკლათ.


შემდეგ ისევ თავის სამუშაო ოთახში დამეებს ათენებს სავლენ... ახლახან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ფილოსოფოსებთან ერთად, იტალიაში იყო, მსოფლიო ფილოსოფიურ მე-12 კონგრესზე, სადაც მისმა მოხსენებამ „ლოგიკური აუცილებლობის შესახებ“ დასწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ვდგევარ და წარმოვიდგენ: (რევაზს სახით არ ვიცი) „რევაზი გამხდარი კაცია, მაღალი, ფერმკრთალი, იგი ახლა, ალბათ, როიალთან ზის, ოთახში ლილისფერი სინათლე უნთია, ანდა რაიმე სხვაფერი, უკრავს... გარინდული... წერს... უკრავს... მისი ოთახის ფანჯრიდან საღამოს თბილისის მშვენიერი პეიზაჟი ჩანს...“ ვერკავ...

— მობრძანდით, მობრძანდით! დიახ, მე გახლავართ რეზო ლალიძე!.. მეუბნება საშუალო სიმაღლის, ზორბატანის კაცი და წინ მიმიძღვის — რა „რევაზი“ კაცო, რეზო მქვია მე, მეჯავრება, როცა ადამიანებს ოფიციალური ტონი აქვთ, — გულწრფელად მეუბნება და ოთახში მიწევებს.

— ეს გახლავთ—ჩემი ქალიშვილი ლელა, ორი წლისა და ხუთი თვის, ეს კი ვაჟიშვილი — სოსო, ეს კიდევ ჩემი ცოლი — თინა, ესეც მე თვითონ, — ღიმილით მაცნობს ოჯახის შემადგენლობას. რეზო მხიარული კაცია, ლამაზი სახის, ცოტათი მსუქანი, ბევრს ლაპარაკობს, ხშირად ხუ-

კომპოზიტორ რევაზ ლალიძის თანაავტორობის პრეტენზიას აცხადებს მისი ბავშვი, პატარა ლელა.



მუშაობს, ლიბრეტოს წერს ლევან ჭუბარბია. დიდ იმედებს ამყარებს ამ ოპერაზე. „ქრისტინეს ბედი ძალიან მაღელვებს და ამიტომ კარგი უნდა გამოვიდესო“. ლელა რომ კალთაში ჩაუსკუბდება, მაშინ კი წერაზე ლაპარაკი ზედმეტია. თვითონ ლელამ უნდა წეროს, ვინ არის რევაზ ლალიძე! ლელა ლალიძე უკეთესი კომპოზიტორია, ზუსტად ისე, როგორც მამა აკეთებს ხოლმე, მიუჯდება როიალს და სახატავი ფანქრით შეუდგება „ოპერის“ წერას. ნოტებს თუ ვერ მიწვდა, არაფერია, სკამზე შედგება და...

ვინ იცის, იქნებ თავის დროზე მართლა მიუჯდეს ლელა როიალს. ხმაურთან, მხიარული, ტკბილი ოჯახი აქვს რეზოს, ესეც კარგი შემოქმედებაა, ესეც ამშვენებს და ალამაზებს ადამიანს.


ალექსანდრე ბუკია მესამე სართულზე ცხოვრობს. დაბალი კაცი, მრგვალი პირისახის, ფართო შუბლით, ლაპარაკობს ნელა, აუჩქარებლად. ეს არის ამ სახლში ერთადერთი კაცი, რომელიც ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში ჯარისკაცული ჩექმებით მოვიდა. ჯერ წითელ არმიში იყო, შემდეგ ამიერკავკასიის ქართული დივიზიის მესანგრეთა ასეულში მუშაობდა, მაგრამ მისი ნაღვილი მოწოდება სულ სხვა იყო, ეს „სხვა“, მის სულში იყო დაბუდებული და არ ასვენებდა...

ახლა საშა ბევრი სიმღერისა და ორი ოპერის ავტორია. მისმა „დაუპატიყებელმა სტუმრებმა“ მრავალი

თიარა, „არსენას“ ვეღარ ხვდა ისეთი დიდი წარმატება და ვერაფრით ვერ აუხსნია, რაშია საქმე. ცალკე მუსიკას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა, სცენაზე კი... იგივე მისი მეგობრები და კეთილის მსურველები დამუხრებულნი და გულნატკენნი ტოვებდნენ ოპერის დარბაზს... ახლა კვლავ „არსენაზე“ მუშაობს, უნდა გადაამუშაოს, გადააკეთოს...

ბუკიას პირდაპირ ვლადიმერ დონაძე ცხოვრობს, ზევით შოთა მილორაძე და სულხან ცინცაძე. დღეები მიდიან ჩუმად და ასევე ჩუმად ამ ოთახებში იქმნება ახალი სიმღერა, ახალი ოპერა, რომელიც ხვალ ან ზევ ხალხში გახმაინდება და გადავა.

მწერალთა სახლი გოგებაშვილის



აკაკი ბელიაშვილი უკვე ბაბუაა და „ინტიმარს“ მაინც არ იტებს.

ქუჩაზეა. სხვა იქვე მდგომი სახლები-საგან არაფრით განირჩევა, მხოლოდ ამ სახლთან ხშირად ჩერდება ტაქსი და მსუბუქი მანქანა.

აკაკი ბელიაშვილი წინათ ხშირად საუბრობდა ფეხბურთზე, ეს მისი საუბრის საყვარელი თემა იყო. ახლა მასთან მეგობრები თუ თავს მოიყრიან, საუბარი უსახელო შვილიშვილს შეეხება. აკაკის შვილიშვილი ჰყავს. არის მილოცვები, რეკვა... ჯერ სახელიც კი არ ჰქვია და ასე ცნობილია პატარა. მოდიან და მოდიან... აკაკი ბაბუაა, აკაკის შვილიშვილი ჰყავს.

იქვე, პირველ სართულზე პოლიკარბე კაკაბაძე ცხოვრობს. ჩია ტანის კაცი, ხანში შესული. იგი ახლა ისტორიულ ტრაგედია „ვახტანგ გორგასალზე“ მუშაობს.

ამ სახლს სამი სადარბაზო შესასვლელი აქვს, აქ არიან ჩვენი პოეტები, მწერლები, დრამატურგები, უხუცესები, ახალგაზრდები; „ვიქტორ გაბესკირია“ აწერია ერთ კარებს,

სხვა კარებს „ალექსანდრე ქუთათელი“, „მიხეილ მრგვლიშვილი“, „გიორგი შატბერაშვილი“, „მუხრან მაქავარიანი“ და სხვ.

მუხრან მაქავარიანი ისეთია, როგორც მისი ლექსების ლირიკული გმირი. მაღალი, ძლიერი, წარმოსადგევი და მშვიდი. მოდის ქუჩაში და მოაბოლებს დინჯად, ფიქრობს ასანთის ლერზე და ქვეყანაზე. მისი მოკლე ბიოგრაფია ასეთია: უნივერსიტეტის მშფოთვარე სტუდენტური ცხოვრება...

უნივერსიტეტის 107 აუდიტორიის კათედრაზე დგას და სტუდენტთა ტაშის გრიალში ისმის ბარიტონი: „რა აკანკალებს სულხან საბას, რა აკანკალებს“...

შემდეგ მწერალთა კავშირის მცირე დარბაზში, ჰყავს პროფესიონალი მსმენელი.

შემდეგ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში, ერთი მაგიდა და წყნარი რედაქციული მუშაობა...

მხატვართა სახლში სულ ახალგაზრდები ცხოვრობენ. ვკითხულობთ გვარებს და უნებლიეთ მაგონდება საქართველოს სურათების გალერეა თბილისის 1500 წლისათვის ზემის დღეებში.

გამოცხადებულია კონკურსი ვახტანგ გორგასალის ძეგლზე, იხსენბა გამოფენა. მთელი თბილისი აქ არის... ვახტანგ გორგასალი... ცხენი ყალყზე დგას... ცხენი თავდახრილია... ცხენი კლდის პირასა... ყველა მხატვარს თავისებურად ესმის ეს თემა. მაგრამ ყველას ყურადღებას იქცევს ხელაწეული ვახტანგი და შებრუნებული ვახტანგი. დამთვლიერებლები ტოვებენ გამოფენის დარბაზს და შინ და გარეთ ყველგან ისმის:

— ყველას ჯობია ხელაწეული ვახტანგი.

— არა შებრუნებული ჯობია, მეტი ქართულია, მეტი ძალა!

— ძლიერებით და პოეტურობით ორივეს თავდახრილი ჯობია.

— არა...


— ეგ არის რომ ქართული არ არის. სასიხარულო ის იყო რომ ამ კონკურსში სულ ახალგაზრდებმა გაიმარჯვეს. ხელაწეული ელგუჯა ამაშუკელის ნამუშევარი გამოდგა, შებრუნებული კი მერაბ ბერძენიშვილის.

მერაბ ბერძენიშვილი 29 წლისაა, ლამაზი გარეგნობის. მხატვართა სახლში ერთი ოთახი აქვს პირველ სართულზე. მარტო ცხოვრობს. ოთახი უბრალოდა აქვს მოწყობილი. ერთი მაგიდა და ერთი ტახტია მისი ავლადიდება. კედელზე ბოტიჩელის „ვენერა“ და ლეონარდოს „პერციკონია“ უკიდია ოთახის ერთ კუთხეში გორ-

გასალის ქანდაკება უდგას და სულ ეგ არის, მეტი არაფერი.

მის პირდაპირ საურმაგ ღამაშივე ცხოვრობს, ახალგაზრდა პეიზაჟისტი. ზევით გურამ ქუთათელაძე, ალექსანდრე ბანძელაძე და გოგი ოჩიაური.

გოგი ოჩიაური ახლა ბესიკის ფიგურულ პორტრეტზე მუშაობს. გოგი საშუალო ტანის კაფანდარა ბიჭია, ცოცხალი, მხიარული. ისიც გორგასალის ქანდაკებისათვის მესამე პრემიათა დაჯილდოებული. მას ორი ოთახი აქვს, კარგად ცხოვრობს, კარგი ოჯახი აქვს. პატარა ნანა უკვე როიალზე უკრავს. მის ოთახში გოიას სურათისა და ბუდას ინდური ქანდაკების გვერდით მიხეილ მესხის სურათი კიდია. ეს სულ არ არის გასაკვირი, გოგის ფეხბურთი უყვარს.



გოგი ოჩიაურს ბევრი გეგმა აქვს, მაგრამ ახლა იგი ბესიკის სკულპტურულ პორტრეტზე ფიქრობს და მუშაობს.

უნდა წავიდე სპორტსმენთა სახლში, ისიც უნდა ვნახო, მაგრამ აქ რომელ ერთზე დაწერ, ყველა საინტერესოა, ვინც პირველი შემხედება ის იყოს, სულ ერთია.

აი, ამ სახლში ყველაზე მაღალი კაცი, ზღაპრებში რომ წაგვიკითხავს ისეთი ვაჟკაცი, მოედანზე ცეცხლი და ჩვეულებრივ საუბარში მშვიდი, სახელგანთქმული სპორტსმენი—ოთარ ქორქიაა. მასზე სქელტანიანი წიგნი დაიწერება. კაცი, რომელზეც ერთ დროს მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა, რომელსაც დაუმარცხებ-

ლად ჩაუტარებია 150 ამხანაგური შეხვედრა იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ჩინეთში, გერმანიაში, რუმინეთში და სხვა ქვეყნებში. ასე წავიდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის კაპიტანი ოთარ ქორქია ოლიმპიურ თამაშებზე და მხოლოდ ამერიკის კალათბურთელთა ნაკრებთან დაამარცხდა. უცხოე-

თის ჟურნალ-გაზეთები მაშინ მსოფლიოში ორ უძლიერეს კალათბურთელს ასახელებდნენ. ესენი იყვნენ ამერიკელი ლევალეტი (2 მ. 10 სანტ. სიმაღლის) და ქართველი ოთარ ქორქია (1 მეტ. და 95 სანტ. სიმაღლის). ახლა ოთარი ჩემს გვერდით ზის მაგიდასთან და მშვიდად ვსაუბრობთ:


„კალათბურთელთა სკოლაში უფროსი მწვრთნელი ვარ, მინდა ჩემი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდებს გადავცე, — ამბობს იგი, — ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, თუ განვახორციელებ; კალათბურთის უნდა სისწრაფე, მოქნილობა და სიმაღლე, რაც ჩვენს ხალხს არ აკლია, შემდეგ ჩვენ გვაქვს ისეთი ტემპერამენტის ციკვები, რომლებიც, მე ფიქრობ, შეეუხამო ჩვენს კალათბურთს, იქნება შედეგი გამოიღოს... მაგრამ ეს ჯერ ექსპერიმენტია და ვინ იცის რას მოგვცემს. ერთი სურვილი კი არ მასვენებს, — მინდა ჩვენმა ახალგაზრდებმა გააკეთოს ის, რაც მე ვერ გავაკეთე“.

სპორტსმენთა სახლი სტადიონის უკანაა, აქ ადრე აქრობენ სინათლეს, მაგრამ ადრე მიდიან სახლიდან, მიდიან სტადიონისკენ, საცურაო აუზისკენ, კალათბურთის მოედნისკენ, საღამომდე არ ბრუნდებიან. ვარჯიშობენ, სწავლობენ, მეცადინეობენ. მომავალი შეჯიბრებისათვის ემზადებიან, ანდა სხვას ამზადებენ. აღსაზრდელებს აკვირდებიან, ნიჭიერებს არჩევენ.

თბილისში ხუთი თეთრი სახლია, ჩვეულებრივი თეთრი სახლი, სადარბაზო შესასვლელებით და მოაჯირიანი კიბეებით. ამ ხუთ სახლში რამდენიმე ათეული ადამიანი ცხოვრობს, რომელთა სახელი მთელმა ჩვენმა ხალხმა იცის, რომელთა მთელმა ჩვენმა ხალხმა იცის, რომელთა მთელმა ჩვენმა ხალხმა იცის, რომელთა მთელმა ჩვენმა ხალხმა იცის, რომელთა მთელმა ჩვენმა ხალხმა იცის, რომელთა მთელმა ჩვენმა ხალხმა იცის.

ოთარ ქორქია ხომ ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი იყო მსოფლიოში. ახლა იგი ახალთაობას წვრთნის.





იერუსალიმის ახალმა გათხრებმა მრავალი რამ გაარკვია. მისი შემსრულებელი ვირჯილიო კორბო „ბედნიერ გამოხრებად“ ითვლება იმის გამო, რომ მან ქართული ტაძარი აღმოაჩინა, რომელიც გათხრილ ტაძართა შორის ყველაზე უკეთესად ითვლება თავისი არქიტექტორული მონაცემებით და, რაც მთავარია, მხოლოდ მის კედლებზე აღმოჩნდა ძველი წარწერები, სწორედ ქართულ ენაზე. როგორც ტაძრის საკითხი ისე წარწერებისა ერთბაშად არ იქნა გარკვეული. ახლანდელი გათხრის ტაძარი, ცხადია, ის ტაძარია, რომელიც დარჩა მიწაში, VII ს. პირველ ნახევრის ბოლოში მუსლიმანურ შემოტევის დროს ჩაქცევის შემდეგ. ამ სახით, როგორც დღეს არის გათხრილი, იგი დარჩა VI საუკუნეში კეისარ იუსტინიანეს დროს მისი აღდგენის შემდეგ. ამ აღდგენის შემდეგ და მისი დაქცევის შუა ხანებში, ე. ი. VI საუკუნის მეორე ნახევარსა და VII საუკუნის პირველ ნახევარს შუა, ეს ადგილები ინახულა ჩვენმა სახელგანთქმულმა თანამემამულემ — იოანე მოსხმა (მესხმა), ავტორმა „სამოთხისა“ და „სიბრძნე ბალავარისა“, როცა ეს ადგილები ჭერ კიდევ აოხრებული არ იყო.

მაშასადამე, VI საუკუნეში კეისარ იუსტინიანეს მიერ იერუსალიმის უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, განახლებული ეკლესია, რომელიც თანხმად „პეტრე იბერის ცხოვრებისა“ (V საუკ.) და პროკოპი კესარიელის მოწმობისა (VI ს.), „ლაზთა“ მონასტრად წოდებული ტაძარია, იყო შეკეთებული კედლების მხრივ, მოწიკით „მოსხმული“ და სხვ. მხოლოდ რაც შეეხება წილს, ტაძრის შიგ, თუ გარეთ, არ ჩანს, რომ რაიმე ღონისძიება ყოფილიყო მიღებული, კერძოდ, რაც შეეხება საფლავებს, მით უმეტეს ფარულ — სამარხებს (კრიბტა-ნეკროპოლად წოდებულთ), მათთვის ხელი არავის უხლია.

მუსლიმანთა ტალღა იერუსალიმსა და მის მიდამოებში რამდენიმეჯერ შეიშოპრა. ერთ ასეთ შემოტევას უკვე VII საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი, რამაც იოანე მესხი აიძულა დაეტოვებინა საბაწმინდის მონასტერი და თავის მოწაფე სოფრომთან ერთად, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა, როგორც სოფრომ პალესტინელი, ჭერ ეგვიპტეში და შემდეგ რომში გადახვეწილიყო, ვითარცა ლტოლვილი. იოანე რომიდან 620 წლის მახლობლად დაბრუნდა საბაწმინდას ლავრაში, ხოლო მისი ყოფილი მოწაფე იერუსალიმის პატრიარქი გახდა. ეტყობა ამ მიდამოებში სიწყნარება შემოსეულ ძალის მხრივ, თუ კი სოფრომი მშვიდობიანად აგრძელებდა მოღვაწეობას 620-634 წლამდე, როდესაც იგი თეოდორეს მონასტერში — მისი და იოანე მოსხის (მესხის) შეხვედრის მონასტერში ბრუნდება, საფლავებს ამ დროს გარდაცვალებულ თავის მასწავლებელ იოანეს და იქვე — თეოდოსეს მონასტერში რჩება სიკვდილამდე (მამათა ბიბლიოთ. II, 1055). შემდეგი დროიდან დაცულია ცნობები, რომ მონასტრები დაქცეულ იქნა მუსლიმანთა მიერ, მაგრამ საფლავების განძარცვა საგანგებოდ აღნიშნული არაა.

ამასთან დაკავშირებით დგება ერთი საინტერესო საკითხი: ახლანდელი გათხრების დროს იერუსალიმში რა აღმოჩნდა ლაზთა მონასტრის სამარხებში? ლაზთა მონასტრის შესახებ ჩვენ აღრინდელი ცნობა გვაქვს, რომ ამ მონასტერში, შიგ ტაძარში, დასაფლავებული იყო ცხედარი გამოჩენილი ფილოსოფოსისა, პეტრე იბერისა, მისი თანამოაზრის იოანე ლაზისა და აბრამ აქრიბელისა (ი. რუფუსი, პეტრეს ცხოვრება, გვ. 141).

ასე, მაგალითად, ვკითხულობთ პეტრე იბერის „ცხოვრებაში“: „აღესრულა წმიდა და ნეტარი იოანე საჭურისი (ლაზი შ. ნ.) და წარვიდა წინაშე

დახურული საფლავები (კრიბტა-ნეკროპოლი)



უფლისა მხიარულითა პირითა, და დამარხეს იგი დიდითა დიდებითა მონასტერსა მას ქართველთასა, რომელი მათ წმიდათა აღაშენეს, (ტარებდა პეტრე იბერისა. XXX, გამ. სოლ. ყუბანისეზილისა, თბ. 1942). ეს ცნობა მაშასადამე, ეხება იოანე ევსუქს (ლაზს), რომელიც უფრო ადრე გარდაიცვალა, რადგან ის დაახლ. 20-25 წლით უფროსი იყო პეტრეზე.

ხოლო თვით პეტრეს შესახებ იმავე „ცხოვრებაში“ დაცულია, აგრეთვე, ასეთი ცნობა იმავე V საუკუნეიდან: „სამ დღე ვერ შეუძლეთ დამარხვად ნეტარისა მის (პეტრეს, შ. ნ.) მომავალთაგან ერთა ურიცხუთა. შემდგომად სა. მისა დღისა ძლით შეუძლით უკუე დაგმარხეთ ეკლესიასა შინა თვისსა სულნელებითა დიდითა („ცხოვრება“ XVII).

როგორც ვხედავთ ყველა ადგილი მიუთითებს პეტრეს და იოანე ლაზის (ევსუქსის) მათ მიერ აშენებულ ქართველთა მონასტერში დასაფლავებას — თვით ეკლესიის სამარხში. მიუხედავად ზაქარია ქართველის სახელით ჩვენამდე დაცული პეტრეს „ცხოვრებაში“ ზოგი რამ, რაც დოგმატიკურ სადავო საკითხებს ეხებოდა, გადაკეთებისა, თვით ეს დასაფლავების ფაქტი უდავო უნდა იყოს. ამასვე ადასტურებს რუფუსი.

ისმება საკითხი — რა გაარკვია ამ ჩვენთვის ღირებულ სამარხების გამო იერუსალიმის ახალმა გათხრებმა?

ვირჯილიო კორბოს მიერ შესრულებული გათხრების აღწერილობა შეიცავს სხვა გარემოებათა გარდა, ბეთლემის მახლობლად ქართულ მონასტრის აღწერილობაში მისი სამარხების აღწერასაც (გვ. 125). ნათქვამია, რომ სამარხები ორგვარი იყო: ერთი ეკლესიის გარეთ, მისგან მოშორებულად სამხრეთით, ხოლო მეორე თვით ტაძრის შენობის ქვეშ. ვირჯილიო კორბო, როგორც პირველს, ადგილწერს ე. წოდ. დახურულ საფლავებს (კრიბტა-ნეკროპოლი). ათის შესახებ ის აღნიშნავს, რომ „პირველი ნაწილი სამარხებისა „ტაძრის ქვეშ იყო, (era sotto la chiesa). ამას მოჰყვება ნაგებობის თვალსაზრისით სამარხების კედლები, თაღები, მისაღავლები, შეღებვა და სხვა. ამის შემდეგ ავტორი გათხრებისა და აღწერილობისა გვამცნობს, რომ მათ გათხარეს ეს დახურული სამარხები და აღმოაჩინეს სამი საფლავი („იქ იყო გათხრილი სამი საფლავი vi sono scavate tre tombe. ფიგ. 3-5), რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო დაკავებული (3) (di cui soltanto una era occupata), ხოლო სხვა ორი სამარხი იყო დაცარიელებული (le altre due erano vuote). ამათ გარდა სულ კიდევ იქვე იქვე აღმოჩნდა გათხრილი ორი საფლავი, რომელთაგან ერთი იყო ცარიელი.

გამოდის, რომ იერუსალიმის ახალი გათხრის დროს ჩვენი დიდი კაცები არ გაუთხრიათ. ამაში შეეძებება დაუშვებელია. მაშინ, რაშია საქმე? პეტრე იბერის ცხოვრება ექვმიუტანლად უნდა ჩაითვალოს: ეს არ იყო, როგორც ითქვა, ისეთი რამ, რაც სადავო დოგმატიკურ გამწვავების ნიადაგზე ნატყუვარი ყოფილიყო. ორივეს შესახებ გარკვეულადაა ნათქვამი — დამარხდნენ მათსავე ეკლესიაში, ჭერ იოანე (უფროსი იყო და ადრე გარდაიცვალა 465 წლ. მახლ., შემდეგ პეტრე — 490 წლის მახლობლად). ერთი წუთითაც არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისეთმა ავტორიტეტულმა და თავგამოდებულმა მკვლევარმა, როგორიცაა ვირჯილიო კორბო, თავი არ შეიწუხა სულ რამდენიმე კრიბტა-ნეკროპოლის საფუძვლიანად გაკვეთით. წარმოდგენილი სურათი სამარხებისა ნათლად აჩვენებს საქმის ვითარებას.

მაშ სადაა ჩვენი უსწორო მიცვალებულთა ნეშტები?

ისტორიულ წყაროებზე დამყარებით, ჩვენ ვიცოდით, რომ პეტრე იბერი და მისი „მანათობელი“, როგორც ის უწოდებდა — იოანე ლაზი — ერთდ განისვენებდნენ ქვის იატაკის ქვეშ მათგანვე აგებულ ეკლესიაში. ჩემს გამოკვლევაში რუსულ ენაზე, რომელიც აკადემიკოს ე. პონიგანის წიგნს წარუშმდვარე, მე ვწერდი პეტრე იბერის და იოანე ლაზის საფლავებზე: „Они лежат рядом в ...саркофагах под сенью грузинской обители в Перусалиме, построенной ими же, и хранят под плитами вечного покоя великую тайну о своих делах и своей матери—родине“ (დას. ნაზრ. გვ. 15).

დრო გავიდა და მე ამ ცნობაში ცოტა შევეჭვი. ლაპარაკია არა პეტრე იბერის „ცხოვრების“ ცნობაზე. იგი უტყუარია — პეტრე იბერი და იოანე ლაზი დასაფლავდნენ მათ მიერ აგებულ ტაძრის ქვეშ, მაგრამ სად დაიკარგა ჩვენი მიცვალებულები? მეორე უტყუარი ფაქტია, რომ ისინი თავისი დასაფლავების ადგილზე აღარ არიან. ამაშია ახალი გათხრების უდავო მნიშვნელობა ჩვენი საკითხისათვის.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მომხდარიყო, სხვათა შორის, ერთი ამბავიც. ვიცით, რომ ძველ დროში მწვანელობრივი მოძვრებისათვის მიცვალებულებს იღებდნენ საფლავებიდან და მათ კვალს სპობდნენ. ასეთი ამბები ვიცით არა თუ საერთოდ და ისიც მრავლად, ვიცით პირდაპირ პეტრესთანაც დაკავშირებით. მიუხედავად მისდამი დიდი პატივისა, განსაკუთრებით VII ს. — ნი. კეის მეორე მსოფლიო კრების მიერ მისი „დიდი დიონისედ“ გამოცხადების შემდეგ (787 წ.), ერთი მისი მიმდევარი დასავლეთში 1210 წ. გასამართლებულ იქნა სიკვდილის შემდეგ, ამოდებულ იქნა საფლავიდან და განთავსებული პეტრესთან დაკავშირებით საამისო ისტორიული საბუთი არ არსებობს და ასეთი რამ რომ ყოფილიყო, იგი არ დაიმალებოდა. მაშასადამე, რაღაც სხვა გზაზეა საჭირო ჩვენი საკითხის გარკვევა.

ცხადია ერთი. ქართული ტაძარი, რომელიც ახლახან გაითხარა იერუსალიმში, არ იყო უფრო გვიანი ხანის, ვიდრე წარწერები, რომლებიც მასზე აღმოჩნდა. ეს აქსიომაა. თუ მასში პეტრე იბერი და იოანე ლაზი იყო დასაფლავებული და იგი მათ მიერ აღშენებული ტაძარი ყოფილა, ე. ი. V საუკუნის შუა ნახევარში უნდა არსებებულიყო, რადგან მათი მონასტრის გაკეთების შემდეგ ორივე კარგა ხანს ცხოვრობდნენ, მაგრამ, ჩანს, ამ მონასტრის შენობა უფრო ადრინდელი იყო, რადგან მას VI საუკუნეში — იუსტინიანეს დროს შეკეთება (აღდგენა) დასჭირდა. მართლაც პეტრე იბერის „ცხოვრება“ ადასტურებს, რომ პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა მ. შ. ა. ეკლესია შეაკეთეს, რომელიც მანამდე იყო აშენებული. ეს ამბავი გადმოცემულია მაშინდელი დროის მიხედვით — თითქოს ქრისტემ მიუძღვნა პეტრეს „ეკლესია შეუენებია შემკობილი და ბრწყინავდა ვითარცა მზე“ (პეტრეს „ცხოვრება“, XII). მაშასადამე, ეს ქართველთა (ლაზთა) მონასტერი, ჩანს, IV საუკუნეში მაინც არის აგებული (თუ უფრო ადრე), ხოლო რაც შეეხება წარწერებს — ორი მათგანი — განსაკუთრებით პირველი, უდაოდ ყოფს მისი IV საუკუნისათვის მიკუთვნებას.

მაშასადამე, IV საუკუნიდან არსებულ ტაძარში შეიძლება დასურული საფლავები თვითონ ეკლესიაში მთელი ხნის განმავლობაში ყოფილიყო მოთავსებული, რომელიც პეტრე იბერის და იოანე ლაზის საფლავთან ერთად სთო რიცხვს შეადგენდა. ორ ჯგუფად მოთავსებულიდან ორი დაცალიერებულ საფლავი პირველ წყებაში ყოფილა, რომლებიც უნდა ვიგულოთ პეტრეს და იოანეს საფლავებად. მესამე საფლავში იღო აბრამ აქრიბელი — პეტრეს და იოანეს მეგობარი. სამივე საფლავი პეტრეს დამზადებული იყო. (რუფუსი). რა მოუვიდა ჩვენთვის უადრესად ღირებულს იმ ორ საფლავს და რა უყვეს მათ მოზინადრებებს? ვირჯილიო კორბო ამ საკითხს არც აყენებს, რადგან, ჩანს, მან არ იცოდა, თუ ვინ უნდა აღმოჩენილიყო მის მიერ გათხრილ საფლავებში და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორ პირს ქართული კულტურისათვის. მას ეს ეპატიება, მაგრამ არ ეპატიება ქართველოლოგიას, მით უმეტეს ერთი მათგანი — პეტრე იბერი, როგორც უდაოდ არეოპაგისტულ წიგნების ავტორი — დღეს ეს მტკიცდება პირდაპირი საბუთებით — მსოფლიო რეზონანსს აღწევს.

შეიძლება თუ არა იმ ფარდის იქეთ, რომელიც ვირჯილიო კორბომ თავისი შესანიშნავი გათხრებით ასწია, პეტრე იბერის და იოანე ლაზის აჩრდილები სადმე მივაკვლიოთ? ვფიქრობ, რომ შესაძლებელია.

იერუსალიმის მიდამოებში, დაახლოებით იმავე მანძილით დაშორებით, როგორც „ლაზთა“ მონასტერი, ისტორიის ქარიშხალს გადაურჩა ერთი ქართული მონასტერი, რომელიც, ზოგიერთის ცნობით, ვახტანგ გორგასლის დარსებულს უნდა იყოს და ყოველმხრივი სიძველის გამო მუსლიმანთა რისხვას გადაურჩა და XI საუკუნეში აღდგენილ იქნა ექვთიმე იბერის მოწაფის — პროხორეს მცდელობით. განახლებიდან (ე. ი. XI საუკუნიდან) ეს მონასტერი — ჭვრის მონასტერად წოდებული, გადაიქცა ქართული კულტურის მიზიდვის ერთ-ერთ ცენტრად აღმოსავლეთში. აქ მოდიოდა შემოწირულება — თამარ მეფისა, და სხვების, აქ მოდიოდნენ ცოცხალი ქართველი მოღვაწენი — ზოგი ნებით, მაგ. გრიგოლ ჩახრუხაძე, ზოგი იძულებით — შოთა რუსთაველი, აქ მოქონდათ ქართული კულტურის ძეგლები — „სიბრძნე ბალავარისა“ — ექვთიმეს შემდეგი დროს გადაშუშავებით, პროქორეს წრეში უსრულებული „ცხოვრება ნეტარისა იოდასაფისა“ და აქვე, ჩანს მოპქონდათ ძვირფასი ნეშტები საქართველოს დიდების მატარებელთა. — მონასტრის კედელზე თავმოყრილია დიდებულ ქართველთა სურათები — მათ შორის ვახტანგ გორგასლისა, ბაგრატ კურაპალატისა, ექვთიმესი და გიორგი მთაწმინდელისა (ამან პირადად ინახულა ჭვრის მონასტერი აღდგენის შემდეგ (XI ს.), შოთა რუსთაველისა, პეტრე იბერისა და იოანე ლაზისა.

დღეს ეს სურათები არ იხილება — ქართულ მონასტრს დაპატრონებულმა ხალხმა გაწმინდა მონასტრის კედლები მათთვის ზედმეტი სიკრული საგან და გაათეთრა ისინი, არც ისე დიდი ხანია. 1845 წელს, საბედნიეროდ, ნ. დ. ჩუბინაშვილმა აღწერა და გადაიღო ეს სურათები და იგი სამშობლოს შეუწახა. შურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ ისინი ამას წინათ გადმობეჭდა.

ზოგი ამ სურათთაგანი ისეთ სპეციფიკურ მდგომარეობაშია, რომ ზოგიერთ რამეებს უდავოდ ავლენს. ეს არის პეტრე იბერის და იოანე ლაზის სურათები, ერთის მხრივ და შოთა რუსთაველის, მეორეს მხრივ. როგორც ჩანს პეტრე იბერი კედლის დასასრულშია, კუთხეში ანუ ნიშაში, რასაც მიუთითებს ის, რომ იოანე ლაზის სურათი მის პირდაპირაა მოთავსებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ისინი ორივე ერთადაა აქ მოტანილი და ერთად დასაფლავებული, სურათების ქვემოთ. რა თქმა უნდა, ჭვრის ქართულ მონასტერში სურათის მოთავსება ოდნავადაც არ ნიშნავდა უპეკველად იქვე დასაფლავებას. შოთა რუსთაველის გარდა აქ არც ერთი სხვა აქ გამოსახული პირის შესახებ არ შეიძლება ამ მიმართულებით დაისვას საკითხი.

შოთა რუსთაველის შესახებ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მან, იძულებით წასულმა ჭვრის მონასტერში, სიკვდილამდე იქვე გაატარა თავისი სიცოცხლის მეორე ნახევარი. ყველა მონაცემის მიხედვით, რომლის განზიღვა აქ შეუძლებელია, ის დასაფლავებულია იმ მეორე სვეტის ძირში, რომელზედაც ის ორგზის მოხსენიებულია და ერთგულ დახატული, ეკლესიის მიერ მისთვის მიკუთვნილ მასწავლებლების წინაშე დაჩოქილი (იხ. ჩემი წერილი შურნ. „საბჭოთა ხელოვნება“-ში. შეად. აგრეთვე ჩემი ეხლახან გამოცემული ნაშრომი „Творчество Руставели“, Тб. 1958 г. III, თავი 5 — „Игнание Руставели“ გვ. 266-286).



VI საუკუნეში გადაკეთებული IV საუკუნის წარწერა (პირველი).

პეტრე იბერისა და იოანე ლაზის შესახებ, აგრეთვე, თავისებური მდგომარეობა: იერუსალიმის ახალი გათხრების შემსრულებლის ვირჯილიო კორბოს აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული ეკლესიის ქვეშ მოთავსებულ პირველი წყების სამი სამარხებიდან ამოღებული ორი ნეშტი ყველა მონაცემის მიხედვით პეტრე იბერისა და იოანე ლაზის (ეგნუქის) უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში — ფაქტი, რომ ისინი იქიდან წაუღიათ, გვაფიქრებინებს რომ ისინი სხვა, უფრო სამიველად აღიგოს გადაიტანეს. რადგან ასეთად, როგორც ჩანს, მიჩნეული იყო ჭვრის მონასტერი, რომელიც ასე თუ ისე გადურჩა ბედის სიავს. ქართული — ჭვრის მონასტერი — იყო ლაზთა მონასტერიდან არცთუ დაშორებული, დასაშვებია, რომ ეს ნეშტებიც იქ გადასვენეს.

როდის შეიძლება იყოს ეს მომხდარი? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა ბეთლემის მახლობლად ეკლესიის განადგურების (VII ს.) შემდეგ, მაგრამ არა უადრეს ქართველთა ჭვრის მონასტრის აღდგენისა (XI საუკ.).

ამრიგად, ამოღებულთა რა პეტრე იბერის „ცხოვრებათა“ ცნობიდან, და ვირჯილიო კორბოს აღწერილობიდან და, ვიდრე რა მხედველობაში ჭვრის მონასტრის, როგორც კულტურულ ძეგლთა მიზიდვისა და დაცვითი მნიშვნელობას, და მასში, პეტრე იბერისა და იოანე ლაზის ერთი მეორის საპირისპიროდ მოთავსებას ნიშაში, მივდივართ იმ ერთადერთ შესაძლებელ დასკვნამდე, რომ ისინი გადასვენებულ იქნენ ჭვრის მონასტერში და დღესაც იქ არიან განსვენებული.

იერუსალიმის უდაბნოში ქართულ მონასტრის გათხრის აღწერილობის გაცნობამდე, რაც რამდენიმე დღის საქმეა, ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, მათ შორის ნ. ჩუბინაშვილის ცნობებისა და სურათებისა, რომელსაც ჩემი ურთულემა მიჰქცია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის წერილმა „დროშაში“ (1957 წ.), მე თითქმის მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ პეტრე იბერი და შოთა რუსთაველი ისევე ერთად უნდა იყვნენ.

ამის გამო მე ვწერდი ჩემს ნაშრომში „Творчество Руставели“: „Великий грузинский мыслитель Петр Ивер и Шота Руставели лежат почти рядом в одной и той же земле в Палестине и тем грузинский народ обрел не церковное, а свое собственное понятие „святой земли“ (стр. 280).


ასეთი ერთი საკითხი, რომელიც დააყენა მეცნიერების წინაშე იერუსალიმის უდაბნოში ქართული ეკლესიის გათხრამ, და რომლის ასე თუ ისე გარკვევისათვის მანვე მოგვაწოდა ერთგვარი მასალა. ცხადია, რომ ქართული ეკლესიის დახურულ სამარხებიდან ამოღებული ნეშტები სადმე ახლოს უნდა გადაეტანათ და, რადგან ასეთ ცენტრად ჭვრის მონასტერი გადაიქცა XI საუკუნის შემდეგ, ამით საკითხის გადაჭრის მიმართულებაც ნაჩვენებია უნდა იყოს. საინტერესოა ჩვენთვის იმის გარკვევა, რომ შუატაძრის მესამე სამარხში პეტრეს მეგობარი — აბრამი იყო მოთავსებული, ხოლო რომ ამ მესამე სამარხში მრავალი ძვალი (numerose ossi in trovato) აღმოჩნდა, არ შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ამ საფლავში ერთ მიცვალებულზე მეტი იყოს დაცული, რაც აძლიერებს პირველი სამარხის, როგორც პეტრეს და იოანეს სამარხთა, მნიშვნელობას.

ასეთივე საიდუმლოებას შეიცავს ერთი წარწერათაგანი, რომელიც იკითხება პეკარების მიხედვით ასე:

1. შეწვენითა ქ-ისითა და მ—
2. ეოხებითა წმინდისა თ-ისითა
3. შ-ნ ანტონი აბაჟ და იოსია მო
4. მსუგელი ამის სეფისა და მა-
5. მა-დელა იოსიაჟის ამენ.

ეს წარწერა განახლებულია VI საუკუნეში. დიდი, რვაჯალი მოხაზულობით, როგორც აღნიშნულია მის აღწერაში, იგი ახლოა ბოლნისის სიონის წარწერასთან (V საუკუნის ბოლო). პირვანდელი წარწერა კი, როგორც ის დაცულია პირველ ორ პეკარში (1. 2.) თავის გადაუკეთებელ სახით, IV საუკუნის უნდა იყოს, რადგან უკუფენს ისეთ წარმოდგენას სამების წევრთა მიმართებაზე, რაც IV საუკუნის, უფრო ზუსტად, მეორე მსოფლიო კრების აქვთ (ეფესოს კრება 881 წლისა) ვერ წამოვიდოდა, რის შემდეგ პირველ პირისათვის — მამა ღმერთისათვის — მეორე პირის შეწვევა, თუნდაც ადამიანის შეწყალებისათვის, დაუშვებელი იყო. უკანასკნელი სამი პეკარი გაკეთებულია

საგუგურო შიკვების, ვაქცინებისა და შიკვების ქაღაქი



ქი, სადაც საქართველოს სამხედრო გზა უერთდება საბურთალოს, მდინარის პირის ამწვანებულ ვრცელ ტერიტორიაზე განლაგებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ვაქცინებისა და შიკვების თბილისის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი.

აქ ქმნიან და მუშაობენ თეთრხალათიანი ადამიანები: მედიკები, ბიოლოგები, ქიმიკოსები, ბოროტ და საშინელ მიკრობებს აქცევენ ადამიანის სასარგებლო და მეგობრულ ძალებად.

თითქმის ყოველი ჩვენგანი, თავისი სიცოცხლის ამა თუ იმ პერიოდში, გადაურჩენიათ შიკვების, ვაქცინებისა და ბაქტერიოფაგების სამკურნალო პრეპარატებს. ისინი მოწოდებული არიან დაგვიცვან დიფთერიის სულისშემბნუთველი კლანჭებისაგან, გადაგვარჩინონ გავშვების მსახვრალი ხელისგან, რომელიც სასიკვდილო თავზარსა ცემს ადამიანის სხეულს, ცოფიანი ძაღლის დაკბენის მომდევნო ცოფისაგან, ბრუცელაზის დროს მთელ სხეულში შეჭრილი გამტანწველი ტივიღებისაგან და მრავალი სხვა მომაკვდინებელი დაავადებისაგან.

ქართველი მიკრობიოლოგი პროფესორი გ. გ. ელიავა იყო ამ ინსტიტუტის ფუძემდებელი, რომლის მგზნებარე და ნათელმა გონებამ, მეცნიერებისადმი თავდადებულმა სიყვარულმა, გამოჩინო

უცხოელ მეცნიერებთან (ფრანგი რუ და კანადელი დ'ერელი) მეცნიერულ-შემოქმედებით თანამშრომლობამ დიდი ხნის განმავლობაში, ძლიერ შეუწყეს ხელი მენშევიების ბატონობის წლებში



პროფ. გ. ანთაძე აწარმოებს ცდას.

არსებულ უმნიშვნელო ლაბორატორიის გადაქცევის ჩვენი ქვეყნის მოწინავე, თვანსაქონის სამეცნიერო-საკვლევო ცენტრად.

ინსტიტუტის დირექტორია ამავე ინსტიტუტში გამოზრდილი ნინო იასონის ასული სირბილაძე.

თბილისის ინსტიტუტში ჯანმრთელობისათვის მებრძოლთა შემოქმედებით ფრონტს მეთაურობს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. ს. ანთაძე.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიკრობიოლოგები გახდნენ მოწინავე და დამკვრელი რაზმები ბაქტერიოფაგის — მავნე მიკრობების გამანადგურებელ უმცირეს არსებათა პრეპარატის, და სხვა მნიშვნელოვანი მიკრობიოლოგიური პრობლემების შესწავლისა და წარმოების საქმეში.

ზღაპრული ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულები და მრავალთავიანი ჰიდრები უფრო ნაკლებად საშინელნი არიან, ვიდრე მიკრობები, რომლებსაც უნარი შესწევთ ჩუმად და იდუმლად მოსპონ მილიონობით ადამიანები, და ისინი სიკვდილის უფრო მეტად საშინელ იარაღს წარმოადგენენ, ვიდრე ხანჯლები და ზარბაზნები. იდუმალი, უჩინარი მკვლევები ჩახეხდნენ ყველას: აქვნებში მწოლიარე უმანკო ბავშვებსაც, გრდემლთან მდგარ დევ-გმირ მჭედელსაც, მშვიდობიან მხვინელ-

ხელახლად, რადგან აბა ანტონსა და ოსტატ (მოსხმელს) იოსიას ეხება, რომელთა ერთად მოხსენიება VI საუკუნის ეკუთვნის და VII საუკუნის ანტონს არ ნიშნავს.

ცხადია რომ IV საუკუნის წარწერაში მ პწარიდან იქნებოდა უფლისაღმის მიმართვა, რაც აკლია VI საუკუნის გადაკეთებულ ტექსტს, რადგან წარწერის გამკეთებელმა ღვთის მოხსენიების უხერხულობა იგრძნო „შეწვენითა ქრისტისითას“ შემდეგ. ამის შემდეგ კი უნდა ყოფილიყო ის პირები, რომელთა შეწყალება იყო გამოთხოვილი.

ვინ იყვნენ ის პირები, რომლებიც დაიმადნენ აბა ანტონის და „მომსხმელ“ იოსიას სახელით? მიქელ თარხნიშვილი, რომელსაც ვირჯილიო კორბომ წააქითხა ეს ქართული წარწერა, უდავოდ მართალია მასში, როდესაც ის წერს, რომ „შესაძლოა ჩვენ აქ გვაქვს ძველი ფორმულია და სტერეოტიპული წარწერა, რომელშიაც ქრისტე პირველ ადგილზე იყო მოთავსებული“ (გვ. 137—una formula gia vecchia nelle quale christo si mette sempre, all primo posto) სხვა ყველა ცდა წარწერის შესწორებისა მანკიერია და საქმეს არ შეეღის; კერძოდ დაუშვებელია შ-ნ წაკითხვა, როგორც შენ და არა „შეიწყალებ“, რასაც ადასტურებენ სამივე წარწერის რელიქტები. — შენ (მეორე წარწერა ფოტო 119-120); შენ—აკლია შ (მესამე—ფოტო 107), მასასადამე აქაც ზის შ-ნ (=შეიწყალებ) და მიქელ თარხნიშვილი სწორად მოიქცა, რომ ამის შემდეგ ჩაუსვა გამოტოვებული ღმერთი (Deus).

ყველა ეს მცდელობა მიქელ თარხნიშვილისა ამოდის სურვილიდან, როგორმე გადაარჩინოს წარწერა იმ სიძნელისაგან, რომელსაც კარგად ხედავს აწ განსვენებული მკვლევარი, და რომლის ისტორიულ გაგებას ის თვითონვე აღნიშნავს როგორც „ძველ ფორმულას ქრისტეს პირველი ადგილის შესახებ“. ამიტომ სწერდა მიქ. თარხნიშვილი — „ყველა ამ სიძნელეებს ავიცილებთ თავიდან, თუ წავიკითხავთ შ-ნ. შენათი (ლათინურად — Tibi, Deo, ofriamo questa opera) ე. ი. თუ წავიკითხავთ — „შენ უფალო მოკიდვნით ამ ჩვენს ნამუშევარს“ (იქვე). აშკარაა, რომ ასეთ წაკითხვას არავითარი ტექსტუალური გამართლება არა აქვს, გარდა სურვილისა „ავიციდნით სიძნელე (andare la difficulta, იქვე).

როგორც არ უნდა იყოს და შ-ნ რომ კიდევ წავიკითხოთ შენ-ად და არა „შეიწყალებ“-ად, მასინაც უნდა ნათელი იყოს, ვისი მისამართით არის იგი, ე. ი. შენ ნახმარი, ურომლისოდ მას აზრი

ეკარგება. ასეთ გაგებას ზიანი მოაქვს მეორე წარწერაში (ფოტო 119-120) ქრისტესადმი მიმართულ „შეიწყალებ“-ისათვის (შ-მ შ-ნ), რასაც არავითარი ორაზროვნება აღარ ახლავს. ეს მეორე წარწერა დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ აშკარაა, და ამას მიქ. თარხნიშვილმა მიაქცია ყურადღება, იგი უფრო ძველია ვიდრე პირველი.

ეს ექსკურსი დაგვიპირდა იმის გამო, რათა გაგვერკვია, რომ ჩვენს წარწერაში საქმე გვაქვს აბა ანტონის და ოსტატ იოსიას (ღედ-მამით) შეწყალების შემცველ წარწერასთან, რაც გაკეთებულია, ახლა ეს აშკარაა, წაშლილი წარწერის ნაცვლად. ვინ იყო თავდაპირველად პირველ წარწერაში მოხსენიებული?

დღეს ამის გამორკვევა ძნელია, მაგრამ იერუსალიმში ქართული ტაძრის გათხრამ თვითონ ფაქტი უდავოდ გვაჩვენა, რომ VI საუკუნის აბა ანტონისა და იოსია ოსტატის სახელთა ქვევით ვიღაცა სხვები დაიკარგა ისტორიისათვის. ცხადია, რომ ამ წარწერაში, მიუხედავად იმისა, რომ ის IV საუკუნის ეკუთვნოდა, არ იქნებოდა მოხსენიებული ყველაზე მოსალოდნელი სახელი — ბაკური ს. ა., რადგან ის მოხსენიებულია მეორე, იმავე საუკუნის წარწერაში. ამის გარდა აბა ანტონი, რომელიც ჩანს, ხელმძღვანელობდა იოსიას მუშაობას, ვერ გახედავდა ბაკურის სახელის ამოშლას და თავისი სახელის მოხსენიებას.

იმ ფაქტიდან, რომ VI საუკუნეში IV საუკუნის ტაძრის აღდგენის მონაწილენი უნდა იყონ წარწერაში მოხსენიებული, დასაშვებია, რომ ამ ადგილზე მოხსენიებული იყვნენ ტაძრის პირველი მშენებელნი IV საუკუნისა. ამას შეეძლო გაეჩინა თვით იღვა ტაძრის VI საუკუნეში განახლების მონაწილეთა იმ ადგილზე მოთავსებისა, სადაც მისი პირველი აშენების მონაწილენი იხსენიებოდნენ.

სხვა პირი IV საუკუნიდან არ ჩანს, როგორც ღირსსახსენებელი წარწერაში, რადგან მ. ო. ბ. დ. ა. ნ. — როგორც „მაცდურთა წიგნთა“ (ჭუანშერი) ავტორი, გამორიცხულია, ხოლო ბაკურის დედა — ეტუბა მეორე წარწერაშია მოხსენიებული. მართლაც და მეორე წარწერაში მოხსენიებულია ბაკური და სხვ., როგორც „ძუძეულნი“ იმისა, ვისი სახელით უნდა იწყებოდეს მეორე წარწერა, რადგან მისი დასაწყისი იკითხება: „და ძუძეულნი მათნი ბაკურ და... (შემდეგ არ იკითხება ნათლად).

როგორც ვხედავთ, იერუსალიმის ახალმა გათხრებმა ლაზთა მონასტრზე ისტორიის სინათლის მიშვებით არა ერთი საკითხი დააყენა ქართული კულტურის შესწავლის წინაშე. პირველი, რაც სასურველია — უნდა გაგრძელდეს ნაყოფიერი საქმე იერუსალიმის მიდამოების სიძველეთა გათხრისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ჩვენს, ქართულ კულტურულ წარსულის ძეგლებს ეხება, ჩვენ არ შეიძლება მხოლოდ შორიდან მაყურებლის როლში დავრჩეთ. ეს განსაკუთრებით უნდა ეხებოდეს ჯგირის მონასტრს, იერუსალიმის მახლობლად, სადაც ყველა მონაცემის მიხედვით არაა გამორიცხული, რომ დიდ ქართველი მოაზროვნე — პეტრე იბერი და უდიდესი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი ერთი მეორის გვერდით განისვენებენ.

წარწერა მეორე — გადაუკეთებელი, რომელზეც მოხსენიებულია ბაკური (IV საუკუნე).

მთავრდება ყანაში, ცის ლაქვარდში არწივივით მონავარდელ მფრინავსაც, წინთან მიმჭდარ და კათედრაზე მდგარ მეცნიერსაც.

მაგრამ მიკრობთა სამყარო ხანდახან მეგობრულად ეპყრობა ადამიანს. დიახ, მეგობრულად, როცა ადამიანი სწავლობს მიკრობთა გამოწვევას და მათ დამორჩილებას.

ესაა მავნე მიკრობის გადაქცევა თავისთავისა და თანამომხეთა მოწინააღმდეგედ, — ე. ი. მათი ვაქცინირება! ასეთი გზით გადავარჩინეთ დაღუპვას ადამიანებსა და ცხოველებს. რა ბრძნული საქმეა ეს — მკვლელის გადაქცევა დამცველად!

დავთვალთ იმით პაწაწინტელა მიკრობთა ეს „სამხეცე“, რომელთაც ასე მზრუნველობით უვლის მედიცინის მეცნიერებთა კანდიდატი ელენე ვახილის ასული წერეთელი. ჩვენ ვეკითხებით მას: ჰყავთ თუ არა მშობლები მიკრობებს. პასუხის ნაცვლად შემოგვთავაზეს თვალყურით გვედევნებინა მუცლის ტიფის მიკრობთა ოჯახისათვის. ისინი ფორმით ჩხირებსა ჰგვანან. და მერე, რა დავინახეთ ერთი ჩხირი შუაზე შეიკუმშა და აქედან წარმოქმნილი ორი ნახევარი ერთმანეთს გამოეყუ. შემდეგ ხდება უფრო გასაოცარი ამბავი: ეს ორი ნორჩი არსება რამდენიმე წუთის შემდეგ ასევე ზუსტად გაიყო შუაზე. ახლა ისინი უკვე ოთხნი იყვნენ იქ, სადაც თავდაპირველად იყო მხოლოდ ერთი „ბებერი“ მიკრობი.


შემდეგ გვიჩვენებს თეატრალური დადგმა, მას, შეიძლება, თითქმის დუელიც კი ეწოდოს: პაწაწინა არენაზე მეგობრულად განწყობილი მიკრობი ნაწლავის ჩხირი — „კოლი“ ეფარაკვება მტერს — დიფტერიის მიკრობს.

შემდეგ სპექტაკლზე მიკროსკოპის ქვეშ წარმოადგინეს: ფაგები, თვით მიკრობთან შედარებით უპაწაწინესი არსებანი, გადადიან თავგანწირულ იერიშზე. ჩირქისწარმომშობი მავნე მიკრობის სტრუქტურის წინააღმდეგ.

შემდეგ შევიდვართ მეფე-მიკროსკოპის აპარტამენტებში, რომელიც ჰერამდეა აწვდილი და გვაოცებს თავისი არაჩვეულებრივი კონსტრუქციით.

ცალა ბურკაქემ 1956 წელს დაამთავრა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი. უკვე ორი წელია იგი მუშაობს თ. კერესელიძის ხელმძღვანელობით.

ფოტო მ. ბლინოვიის



ჩვენი სამამულო ტექნიკის ეს საოცრება საჭიროების დროს ყოველგვარ სხეულს, სულ ცოტა, 25 ათასჯერ მაინც ადიდება. მოდი, ჩვენც ჩავიხედოთ ამ გიგანტ-მიკროსკოპის ფლურისციმრებელ ეკრანში. და რას დავინახავთ? დავინახავთ დაუნახავს... დავინახავთ ვირუსს ვირუსს, უმცირეს მიკრობს. უჩინარი ვირუსი დაიჭირა გიგანტმა მიკროსკოპმა და იგი ძვეს ჩვენს წინაშე, მუხუდოს მარცვლის ოდენად გადიდებული. ადვილი სათქმელია — მუხუდოს მარცვლის ოდენა. და მერე იცით თქვენ, რას ნიშნავს ეს? წარმოიდგინეთ, ვითომც ერთსანტიმეტრიანი ხოჭო გაადიდეს მეოთხედი კილომეტრი სიგრძის საშინელებად.

ხედავთ, რა წარმატება ეს მიკრო-სამყარო? სწორედ ამან გაიტაცა თამაზ სერგეის-ძე კერესელიძეც. ერთხელ, ყრმობის ყამს, ცელქმა ბავშვმა, რომელიც სულ იმას ოცნებობდა, რომ ჭუნგლებში გაპარულიყო და იქ ენადირნა მახრჩობელა გველებზე, გორილებსა და სპილოებზე, უფროსი მეგობრისაგან მიიღო უბრალო სასწავლო მიკროსკოპი. უფროსმა მეგობარმა კბილიდან თეთრი ნივთიერების ნამცეცი ჩამოიფიქა, მიკროსკოპის ქვეშ შესლო და თან დააყულა: „რა მიგარბენინებს ჭუნგლებში, შეხედე, რა საინტერესო სამხეცე გაქვს პირში აბა, რითი არ ჰგავს შენს ჭუნგლებს!“. გაოგნებული ბავშვი თვალს ვეღარ აშორებდა სახახობას და ამ დღიდან იწყო ოცნება ნადირობაზე, მაგრამ—უკვე მიკრობთა სამყაროს „ჭუნგლებში“.

უფროსი ამხანაგის იმედები გამართლდა: ბავშვი ვახდა მიკრობებზე მონადირე მედიცინის მეცნიერებთა კანდიდატი.

მიკრობთა წინააღმდეგ მედგარ ჯვაროსნულ ომში ადამიანების ერთგული თანამებრძოლები არიან ცხოველები. ვლიერებსა და ვივარიუმებში მათი 17-ათასიანი არმიას სანერგეშია თეთრი თავგები, ბაჭები, და ზაზუნები: ფარეში — ცხვრები, ნარწყავ მდელოზე მშვიდად წიწკინან ბალახს ჩასუქებული ცხენები, რომლებიც არიან თავისებური დონორები, რადგან იმუნიზებული ცხენის სისხლისაგან მზადდება დიფტერიის, გაშუშების, სამკურნალო შრატები, ვაქცინებს ამზადებენ ადამიანის ორგანიზმისათვის სუსტი ცოცხალი მიკრობებისაგან. სპეციალური გამოზრდის დროს ისინი ჰკარგვენ თავიანთ მავნებელ თვისებებს და ორგანიზმში შეყვანისას ხელს უწყობენ ნივთიერებთა წარმოქმნას, რომლებსაც უნარი შესწევთ დახოცონ ისეთ დაავადებთა გამომწვევი მიკრობები, როგორიცაა ბრუცელოზა, ყვავილი, ცოფიანობა.

სამართლიანად შეიძლება ვიამაყოთ ფაგების ნიარფეროვანი პროდუქციით, რომელსაც აგზავნიან არა მარტო ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში, არამედ მის ფარგლებს გარეშეც.

საქართველოს მეცნიერები ყოველთვის მოხარულნი არიან დახმარება გაუწიონ თავიანთ საზღვარგარეთელ კოლეგებს. ასე, მაგალითად, რამდენიმე ხნის წინათ ცნობილმა ამერიკელმა პროფესორმა ოსკარ შტერნმა ვაშინგტონიდან მიმართა ჩვენს ინსტიტუტს, გაეგზავნათ მისთვის მთელი რიგი ჩირქწარმომშობ დაავადებთა საწინააღმდეგო ბაქტერიოფაგი. და მას თავაზიანად შეუსრულეს თხოვნა.

საბჭოთა კავშირი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთან არსებული ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. ჩვენმა წარმომადგენელმა შეიტანა პროექტი ყვავილის ლიკვიდაციისა მთელს მსოფლიოში. მსოფლიო საზოგადოებრიობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის გულუხვმა საჩუქარმა, რომელმაც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას უანგაროდ გადასცა 25 მილიონი დოლა ყვავილის მშრალი ვაქცინა, რომელიც



ტიციან ცაშიძე *

ეს არა მარტო... ეს არა მარტო
 ან იკვლავს მტრებს ევანა.
 ამ ქსლს სიხე და მტრებს
 შიშისთვის სხვა-მხარეს.
 ტყვეთა ქვეშის მათხსივეს
 ქმარ მუხარაზა მამაძეც.
 სულს მტრებს უფო იყავს
 ასევე სხვადასხვა მტრებს.
 წინაშე მათ ქვეშის ვახდა
 ქმარ მუხარაზა მამაძეც.
 ან უფო მამაძეც
 მტრებს უფო მამაძეც
 ქმარ მუხარაზა მამაძეც
 სხვადასხვა მტრებს
 ასევე სხვადასხვა მტრებს.
 წინაშე მათ ქვეშის ვახდა
 ქმარ მუხარაზა მამაძეც.
 ან უფო მამაძეც
 მტრებს უფო მამაძეც
 ქმარ მუხარაზა მამაძეც
 სხვადასხვა მტრებს
 ასევე სხვადასხვა მტრებს.

* ნაწყვეტი ლექსიდან „საბჭოთა საქართველოზე“.

უძლებს ტროიკულ ჰავას, და აგრეთვე 1.000 ტონა პრეპარატი მალარიის სალიკვიდაციო ფონდისთვის. ამ საჩუქრებში შედის თბილისის ინსტიტუტის პროდუქციაც.

ჩვენი ინსტიტუტის თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევები და საწარმოო წარმატებები ხელს უწყობენ მშრომელთა ჯანმრთელობისათვის ბრძოლის საქმეს, მშვიდობის საქმეს კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

შერმადინმა წელამდე აყრილ, ნა-
მიან, მწყურისფერ ბალახში დაყენა
მსუბუქი მანქანა, ჭროლა თვალები
იღუმალი სიხარულით მიმოავლო
მღუმარე მთებს, გორებს, ბორცვებს,
ტანმოძრო ელდარის ფიჭვით შემო-
სილ მთაზე ამოწვევრილ მწეს. მერე
რეზინის მაღალყელიანი ჩექმები ჩაი-
ცვა, დიდი ხელებით თოფი ააწყო,
ლავერაკს თავის გაქნევით ანიშნა —
წინ გამიძებნო, და სერიდან ნელა,
მიმედ დაეშვა.

მწყერი ყოველ ნაბიჯზე ამოდიო-
და.

„ჭერ კაკაბს მოვძებნი, მერე კი
მწყერზე ნადირობით ვიჭერებ გულ-
სო“, — ფიქრობდა.

გულდაჯერებული, ამაყი, მკერდგა-
ნიერი და შეჭადრაგებული ისე გა-
მოიყურებოდა, თითქოს ეს ქვეყანა
ეპატარავებოდა. სროლის ხმას ყური
მოჰკრა და მწითური, მსხვილნაკვთი-
ანი სახე ნათელმა ღიმილმა გადაუსე-
რა. „ეჟუკაცია“, — სიამოვნებით გა-
იფიქრა.

ეს სანახები, სადაც შერმადინი
მიაბობებდა, ცნობილი იყო კაკაბის
სიუხვით, მაგრამ ვიღაცე უნდა არ
დაიჭერდა, იქ იშვიათად ნახავდით
მონადირეს. სხვადასხვა ფერისა და
ზომის მცურავი, განსაკუთრებით კი
შემზარავი ნაცრისფერი გიურზა აფ-
რთხობდა მონადირეებს. შერმადინი,
სწორედ ამ სანახებში შერმადინის
გონიერ პოინტერს გიურზა ეკვეთა და
კბილი დრუნჩში ჩაჰკრა. შვილივით
გამოზრდილ ძაღლს მთელი ბოთლი
არაყი დააღვეინა, ვერ უშველა, ძაღ-
ლი დასივდა და სული უდაბნოს მია-
ბარა. მერე შერმადინმა ისე გაწე-
რთნა ლავერაკი — გველს ახლოს არ
ეკარებოდა.

შერმადინს შხუილით გადაუარა
კაკაბის გუნდმა. თოფი მყის გამართა,
ერთ კაკაბს ფრთა მოსტეხა. კაკაბი
ღორღიან, უბუჩქო და უბალახო ფერ-
დობზე დაცა. თავაწუთლმა, უმშვენი-
ერესმა ფრინველმა სწრაფად ალია
აღმართი, ფიჭვნარში შევიდა, თვალს
მიეფარა. ძაღლი დაედევნა, შერმა-
დინიც შეუდგა აღმართს. ზეგანზე
ძაღლს კაკაბი ჩამოართვა, ტოტებგა-
ბარკლულ ფიჭვის ჩეროში ბრეწენ-
ტის კურტაკი დააგო, ზედ სავსე
შურგანთა დასდო, იქაურობას გადა-
ხედა — ეგებ მონადირეს მოვკრა
თვალის. სანადიროდ ისე წამოვიდა,
პირში ლუქმა არ ჩაუღვია. მარტო
ქამას არ იყო მიჩვეული, ამიტომაც
ექებდა მონადირეს.

ირველი მთებში, გორებში, შეთხ-
რილი მეცხვარეთა ბინები, ქარვის-
ფერი ბალახით ტანმოხატული ბორ-
ცვები, მცირე მინდვრები; მყვლის
ბუჩქებით და ხშირი ძეგვით ჩაბინ-
დული ხეები... იქვე მხოლოდ თნე-
მე იზრდებოდა მწყურისფერი ბალა-

ხით დაფარულ გორებს მწვანე ფი-
ჭვების თავსაბურავი ამშვენებდა. აქ-
იქ ყოველგვარ მცენარეულობას მოკ-
ლებული, ლილისფრად დაწინწკლუ-
ლი, მიწაყრილის დარი გორებიც
ერია. შერმადინის თვალი მთიდან
ბორცვზე, ბორცვიდან მთაზე გადარ-
ბოდა, მონადირე კი არსად ჩანდა. იგი
მიწაზე იყო გართხმული, შერმადინს
ემალბოდა.

შერმადინი ზურგჩანთას დაუბრუნ-
და, პირი მოუხსნა. კურტაკზე დაჭდა
თუ არა, მის ქვეშ რაღაც გრძელი და
ღონიერი, გაშმაგებით ამოძრავდა.
წამბარასავით ავარდა ვაჟაკი, თოფს
ეცა. ამ დროს კურტაკის ქვეშოდან
მკლავის სიმსხო, გაგულისებული მცურ-
ავი გამოიჭრა. თოფი ორჯერ დაახა-
ლა, თავი წააგლიჯა, ზიზღით ჩაილა-
პარაკა:

— ფუ, დაგწყევლოს ჩემმა გამ-
ჩენმა...

ზურგჩანთასა და კურტაკს დასწვდა,
იქვე მოდულუნე ალაზნისაკენ გას-
წია, „იქ ვისაუბმებო“, — გადაწყვიტა.

ამღვრეული, განიერი, ტანსაცმე
ალაზნი მორევებთან ცხვრის ჭუჭყიან
მატყლის მსგავს ქაფს იკიდებდა.

გაღმა აზერბაიჯანია: მარჯვნივ ცამ-
დე ატყორცნილი ფრიალო, ტიტველი,
წაფრანისფერი მთაგრეხილია, მარც-
ხნივ კი ბინდისფერი, თვალუწვდენი
მკვდარი ტრამალი.

გამოღმა, ალაზნის პირს ჩაღისფერი

ზოლი მოჰყვება. ეს ლელიანია, სადაც
თავს ინახავს ხოხობი და ღურაჯი.

შერმადინმა მდინარის წყალი პირ-
ზე პეშვით შეისხა, მერე მონარშულ
ქათამს ბარკალი აახლიჩა და ამ დროს
მისგან სამასიოდ ნაბიჯით დაშორე-
ბულ, მწითი განათებულ მთის მოყვი-
თალო ფერდობზე თოფი ორჯერ გა-
ვარდა. მოძრავი თეთრი ლაქა შენიშ-
ნა, ხელი დაუქინა — მოდი ჩემთანო,
თანაც თოფი დასცალა, რომ მისი
ყურადღება მიეპყრო. ლაქა რამდენ-
სამე წუთს არ განძრეულა, მერე ქვე-
ვით ხევისაკენ ჩაცურდა, გაუჩინარდა.

შერმადინი განაცვიფრა უცნობის
საქციელმა. ბრაკონიერია? კაკაბზე
ახლა ნებადართულია ნადირობა. ფე-
რად-ფერადი ქსოვილის ნაჭრებს არ
აფრიალებს, ცნობისმოყვარე კაკაბი
რომ მიიტყუოს. ნადირობს ისე, რო-
გორც ნადირობენ წესიერი მონადირე-
ები. მაშ რატომ გაუბრბის შერმადინს?
ეგებ შერმადინი უჩაღად წარმოუდგე-
ნია? შერმადინმა გულიანად გადაიხა-
რხარა. ახლომახლო არც ცხენია და
არც მანქანა, მაშასადამე, ფეხითაა მო-
სული, აქაურია.

შერმადინმა წახემსა, გადაწყვიტა
მონადირესკენ წასულიყო, გზადაგზა
უნადირნა.

მზე ნელ-ნელა ზევით იწვედა და
ცხარდებოდა, ცვარს სვამდა, ბარსა
და მთას ცეცხლს უკიდებდა.

შერმადინი თხემზე ავიდა, ისევე

დაინახა თეთრი ლაქა, იგი დაბლობში
ნადირობდა. შერმადინი მისკენ გაე-
მართა. უცნობაც შენიშნა შერმადი-
ნი, ერთ ხანს გაქვევებული იყო, მერე
ბორცვი სირბილით გადასტერა და გაქ-
რა. შერმადინმა ფეხს აუჩქარა, ისედაც
მწითური, სისხლისფერი შეიქნა,
სქელ კისერზე ოფლს ცხვირსახოცი
იწმენდა, თავისთვის როხროხობდა:
მაინც გიპოვნე...

ბორცვი ქოშინით აირბინა, თვა-
ლებზე ხელი მოიჩრდილა. კაცი ვერ
დაინახა, გაბრაუნდა და ხმამაღლა შე-
ავინა.


* * *


მინდორში ძეძვს ამოფარებული ჩია
ტანის მონადირე შერმადინს თვალს
არ ამორბებდა. როცა შერმადინმა ბო-
რცვი დასტოვა, მან თავისუფლად
ამოსუნთქა, კარგა ხნის შემდეგ თა-
ვად აფორთხდა ბორცვზე, თავი
ფრთხილად წამოსწია. შერმადინი
უკვე შორს იყო, თოფს მალიმალ ახ-
მინებდა. მონადირემ რეზინის ჩექ-
მები გაიხადა, ოფლისაგან დასივებუ-
ლი ძარღვიანი ფეხები მწეს შეუშვი-
რა. მერე წაღები ჩაიცივა, ჩექმებში
ზურგჩანთაში ჩაჰყარა, მაღალსა და
ხშირ ბალახს მიაშურა. მუხლებს
მსუბუქად შლიდა, ნანობდა — რა-
ტომ აღრე არ მოვიშორე ჩქმა, მუხ-
ლი მომკვეთა, საშინლად დამაღალა...

ზურგს უკან კაკაბი აუფრინდა.
ფიცხლავ შემოტრიალდა და მაშინ მის
ცხვირწინ — დიდმა გუნდმა დასტოვა
ბალახი. დაიბნა, მიწაში არც ერთი
არ ამოუღია, ესროლა, „რამდენიმე
კაკაბს დავატოვებინებო“, — ფიქრობ-
და. გუნდმა მთას გადაუარა, მონადი-
რე კი თვალს არ უჭერებდა — ნუთუ
დავაცილეო.

კაკაბი სულ ახლოს აკაკანდა და
გატრუნდა. მონადირე შედგა, ცდი-
ლობდა გაეგო — კაკაბის სიმღერა სა-
იდან მოისმოდა. გაუქირდა, რადგან
ახლა ყოველი მთა, თუ ბორცვი და-
უცხრომლად კაკანებდა, თითქოს
მთებმა კაკაბის ენა ამოიდგესო. ბო-
ლოს, მწერა მის მახლობლად ოდნავ
ამაღლებულ ადგილზე გადაიტანა, სა-
დაც ნაცრისფერი გრძელი ლოღო
იყო. კაკაბი რომ სწორედ იქ იყო,
აქაში ჩქარა დარწმუნდა. კაკაბმა უკა-
ნასკენლად, ისიც გაუბედავად წამოი-
მღერა, მერე ხმა აღარ ამოუღია. მო-
ნადირე ფრთხილად მიუახლოვდა და
გაინახა. ლოდი მწოლარე, ცალქიან
კამეჩს გავდა. წამით მოეჩვენა, რქამ
ადგილი გადაინაცვლა; მონადირემ კი-
დეც ერთი ნაბიჯი გადადგა, მაშინ რქა
ლოღს მოწყდა, შურდულივით გაფ-
რინდა. თოფმა უმტყუნა, ახალი ვაწ-
ნები შეაწყო, გაუკვირდა: ლოდი ნაც-
რისფერია, კაკაბი კი ცისფერი. აგრე
მაინც როგორ ეხამება ქვას!

ცხრათვალა მზე შუბის ტარზე დაჯ-
და, უმოწყალოდ აცხუნებდა. მთებს,
ბორცვებს, ველებს მოოქროვილი ოხ-






ეროვნული
ბიბლიოთეკა



აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა
(დაბადების 60 წლისთავის შესრულების გამო)



ტ. ზალკალნი
ბეზია



რ. ვილნერე
ქალაქის გარეუბანი




ვ. პურვიტი — ხიდი

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის შენობაში ამსწინაო დაიბურა ლატვიის სსრ სახეითი ხელოვნების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ლატვიელი ხალხის XIX საუკუნისა და თანამედროვე მოწინავე მხატვართა ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, თეატრალური და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა 300-ზე მეტი ნიმუში.


გამოფენა, რომლის საშუალებითაც საქართველოს მშრომლები პირველად გაეცნენ ლატვიელი ხალხის შესანიშნავ ხელოვნებას ჯერნს დღეაქალაქში, ერთგვარი საპასუხო გამოპილი იყო 1957 წლის მაისში ქ. რიგაში მოწოდული საქართველოს სსრ სახეითი ხელოვნების სადეკლო გამოფენისა, რომელც ლატვიელებმა მეტად გულთბილად მიიღეს.

„დროვის“ ამ ჩანართზე ვათავსებთ რამდენიმე რიგულს ლატვიის სსრ სახეითი ხელოვნების გამოფენიდან.




ა. ბრეილისი
ნორი მოკანდაკე

ა. ტარტუში — ნატურმორტი



ს. კალვე — ქოთანი

გ. ვილკი — სსრკ სახალხო
არტისტ ე. სმილვისის პორტ-
რეტი





რეჟისორმა დავით რონდელმა გადაიღო ფერადი მხატვრული ფილმი კ. უიარაღოს (კ. თათარაშვილის) მოთხრობის „მამელუქის“ მიხედვით. ფილმისთვის მუსიკა დაწერა ა. ბალანჩივაძემ, მხატვრობა ეკუთვნის მირზაშვილს, ოპერატორია ლ. სუხოვი.

„მამელუქში“ მონაწილეობენ ცნობილი ქართველი მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავე, გ. დავითაშვილი, შ. გომელაური, გ. შავგულიძე, ბ. ზაქარიძე, ო. კობერიძე, ლ. ელიავა.

მამელუქი — ო. კობერიძე

ვენეციელი — ბ. ვაშაძე

ქ ა ქ რ უ ქ



ზეინაბი — ლ. ელიავა



ხეია — დ. დანელია



კადრი ფილმიდან. წინა პლანზე ნაპოლეონი — ტ. საყვარელიძე

ფერადი ფოტო ნ. ზამთარაძის

შვიარი ასდიოდა. ცა აღარ იწვევდა უსასრულობის განცდას, თეთრი მარ- მარილოს უშველებელ, დაბალ თაღს გავდა.

სიციხით გაბრუებულ, ილიაში თოფ- ამოჩრდილ მონადირეს ბალახი მხრე- ბამდე სწვდებოდა. კმაყოფილი ღი- ღინებდა, ბალახს მიაშრიალებდა.

ჩანთაში ექვსი კაკაბი და თხუთმეტი მწყერი ედო, მეტი არც უნდოდა. ბე- დნიერი იყო იმით, რომ შავი მოცხა- რის ნაყოფივით პაწაწინტელა თვა- ლებით შეეძლო ემზირა ამხელა ცისა და მიწისათვის. ზოგჯერ კარგავდა საკუთარი „მე“-ს შეგრძნობის უნარს, თითქოს თავად გარდაქცეულიყო სა- მყაროდ და მთები, ველები, დაბალი ცა მისი სულისა და სხეულის ნაწი- ლები იყო.

მონადირემ რაღაც რბილ საგანს ფეხი დააბიჯა და შეაჟრუოლა, მყო- სვე აწვეა წვივი. უკან ისკუპა, მიწაზე ავლისფერ ელვად დაკლანილი გიჟ- რზა დალანდა, კანკალმა აიტანა, კი- ვილი მორთო — მიშველეთო.

მონადირის ხმამ შერმადინის ყუ- რამდე მიადწია. შერმადინს მარჯვენა, უღალი, ცელის მსგავსი წარბი აუთა- მავდა, გაიფიქრა: „აგრე მხოლოდ სა- სიკვდილოდ განწირული ადამიანი ყვარის“. ფეხებდაწვეტილმა, ოფ- ლისაგან ერთიანად სველმა, ქოშინით გალაჯა ბორცვისაკენ, რომლის იქი- თაც ეგულებოდა განსაცდელში მყო- ფი.

დაგველილი მონადირე გაპიოდა. უსაზღვრო შიშით შეპურობილ მის აღმოდებულ, გახურებულ ტვინს კბენდა და შხამს ანთხევდა ავლის- ფერი ელვა. გაუთქვრავ ბალახში შეშ- ლილივით დაბორილობდა, მიწის ყო- ველ მტკაველს თვალებით აკვდებო- და, გველს ეძებდა: „საქიროა იმ ელ- ვის განადგურება, რომ სიკვდილისაგან ვიხსნა თავი“, — ეს ფიქრი რატომ- დაც სულსა და გულში ბურღივით ბრუნავდა. გველს ვერ ნახულობდა, უფრო გიჟდებოდა და მეტი გამწარე- ბით კიოდა.

შერმადინმა შორიდანვე შეიცნო ათისთავი ვასო ნათიძე: „სამუშაო დღეს აცდენს, ნადირობს, ამიტომაც გამირბის, მემაღება“.

ნათიძემ მხოლოდ მაშინ აიხედა, როცა შერმადინი თავს წამოადგა. ენა მხუცილში ჩაუვარდა, დამნაშავე კა- ცის შესაბრალისი ღიმილი წუთით გამოისახა მის მიწისფერ ტუჩებზე. — რა შეგემთხვა, შე უნამუსოვ? — მივქარე, ჩექმები გავიხადე, გიურზამ მიკბინა, — ცრემლი გადმოს- ცვივდა, ფეხი ასწია, გველს თეთრი ტილოს შარვლის ტოტი მუხლს ქვე- მოთ გაეხია.

შერმადინმა თოფს უმაღვე შემოხს- ნა ღვედი, მუხლთან ისე მაგრად შე-

მოუჭირა, ნათიძემ რამდენჯერმე და- იკვნესა. მერე დაიხარა, შარვლის ტოტი აუკეცა და ქრილობასთან დი- დი ტუჩები რომ მიიტანა, ნათიძემ მურყანის ფოთოლივით პატარა ხელი ნაკბენს დააფარა, გაუბედვად ამოი- ლულულა:

— რასა იქთ, უფროსო, როგორ გეკადრებათ...

— გაჩუმიდი, ნაცარქექიავ, — გა- ურისხდა შერმადინი, ქრილობიდან სისხლი რამდენჯერმე გამოსწოვა, გა- დააფურთხა. მერე ნათიძე ბავშვივით აიტაცა, მანქანისაკენ წაიღო.

— სამუშაოზე მგონიხარ, შენ კი აქ დაეთრევი თურმე. სარგებლობ იმით, შეგებულება რომ ავიდე.

— მაპატიეთ, უფროსო, ვერ მო- მითმინა გულმა. ნეტავი ფეხი მომტე- ხოდა და არ წამოვსულიყავ.

— ვირისთავო, თოფი გაჩუქე. შენ კი ცუდლულტობ. ახია შენზე... — ჩაი- როხროხა, მანქანაში ჩასვა და საკეც მიუჭდა.

შერმადინი ხანდახან გამოხედვდა ნათიძეს — შხამი თავისას ხომ არ აკეთებსო. მაშინ ნათიძე თვალებს ხუ- ქავდა, ფიქრობდა: გადარია ჩემი უფროსი, სად გაგონილა ასეთი სის- წრაფით სიარული, მანქანას უთუოდ გადააბრუნებს, თავად დამარცხდება და მეც ბოლოს მომიღებსო.

მანქანამ გაივია, მოკირწყლულ შარაზე ფრთები გამოიბა.

შერმადინს ბულასებრ თავი დაეხა- რა, თითქოს ვიდაცას უნდა დააჯახო- სო. მზე გადაიწვერა. გზის ორივე მხარეზე მოთიბული ველია, აქა-იქ ზვინებია. ნათიძე ხელავს კაკლის გახუნებულ ტევრში ჩაფლულ კრამი- ტის წითელ სახურავებს, ეს მისი მშობლიური სოფელია. გულის ამა- ჩუყებელ, ცრემლის მომგვრელ სი- ხარულს განიცდის: სიკვდილის წინ ნახავს მამას, დედას, ცოლს, და რაც მთავარია — რვა წლის ვაჟიშვილს — ცელქ, კერპ, დიდგულა, შვლისთვალე- ბა გოგის. აიტატებს, ბიჭს, ჩაპოც- ნის, ეტყვის: დანაშაული თუ რამ მი- მიძღვის, მაპატიე, შეილო. საკუთარ თავზე მეტად მიყვარხარ. და თუ ხან- დახან ხელი გამირტყამს შენთვის, მერე მინანია, ღამეები თეთრად გამი- თენებია.

მანქანამ ნათიძის ჭიშკარს ჩაუქრო- ლა. ნათიძე აწრიალდა, წამოჭდა, შე- რმადინს კეფაზე მიაშტერდა, სურდა შეპკითხოდა — სად მიგყავარო, ვერ გაუბედა. „ალბათ, ქალაქს მი- დის, საავადმყოფოში დამაწვენს, — გაიფიქრა“.

გადარჩენის მცირე იმედი ციცინა- თელასავით აუციმციმიდა სულში და მაინც ფიქრობდა იმაზე, რომ ხვალ ვეღარ იხილავდა ნათესავებს, ამხანა-

დავით ვვიცარიძე

მოკლიშაჰის გყაში



ტყე, ტყე და ისევ შრიალი მუხის, ფიქრები მწარე, ხან კიდევ ტბილი... ეპ, ვინ გაიგებს იმ დარდს და წუხილს. რომ არ მასვენებს ამ სისხამ დილით.

აგერ გაშლილი ნაძვი ტოტებით, ფრთხილად, ჰო ფრთხილად მებუტბუტება. ხან ამ ნაძვის ტოტს ჩავეხუტები. ხან მისი ტოტი ჩამეხუტება.

ერთად ვიგონებთ გუშინდელ ბრძოლას და გულის ნადებს ვანდობ მე ამ ხეს. თან უცნაური ამიტანს თრთოლვა და ნაძვსაც, ნაძვსაც თრთოლვა შეარხებს.

მე მიყვარს ჩემი მშეცა და მიწაც, დედულ-მამულის ყველა მტკაველი. სადაც აკვანი ჩემიც დარწა, სადაც ცხოვრების გზაზე გაველი.

ბევრი ტკივილი შემხვდა ამ გზაზე, მაგრამ კაცობა განა დარდილა. მამულის სითბომ და სილამაზემ და სიყვარულმა გადააპრჩინა.

ჭერ არ წაშლილა ნაიარევი, ბევრი გამიგებს ტყვიამოხვედრილს.

მოურჩენელი, მწვავე იარა, პირველ სტრიქონს რომ გულში გაივლებ. ზოგი მიუძღვნის თვალბეჭქრიალას, ზოგი ლურჯ ცას და ღამაშ ყვავილებს.

მე ჩემი ლექსის პირველ ნათლობად, მახსოვს ბრძოლა და მტერთან კილილი.

მასაც აჩნია მტერი ნატყვარ, დაუხლებია ტოტები ტყვიას. არვის გვსმენია კვნესა ხშიანი, ნაძვის წუხილი არ შეგვიტყვია.

დადუმებული კბილს-კბილზე ვაჭერ, ვდგები, ვისწორებ წელზე იარაღს. მერე პერანგზე ავიხვე ნაქერს და ხეს შევუხვევ ძმურად იარაღს.

შურისძიებით სავსეა გული, სანამ გავდევნით მტერს სატიალეს. ტყე არის ჩვენთან ძმად შეფიცული და უტყუარი მემპატიანე.

და ახლა ისე დავიარები, არ მერცხვინება უკან მოხედვის.

განა ლექსით ვარ ქვეყნის მანხველი? განა სიცოცხლე მხოლოდ ლექსია? ვიყავ მებრძოლი დაუზრახველი, როგორც ქართველის წმინდა წესია.

პატიოსანი კაცის სახელი, ყველა სახელზე უკეთესია!

ტყის იღუმალი ღამე მაკრთობდა და ყოველ ხესთან იჭდა სიკვდილი.

შეცას ფარავდა ღრუბელი რუხი, ტყე სდუმდა სისხლით გადანამული. მე ლექსს მითბობდა შრიალი მუხის და მამაგრბედა დიდი მამული.

გებს, ეგზომ საყვარელ მთებს, ვე- ლებს, შეცას, თავისი თავი ენანებო- და, თვლი ცრემლით ეცებოდა.

მზე დამალა. ცა თეთრია, სუფთა, ლილისფერ მთებზე კი გამჭვირვალე ნისლია დაწოლილი. ცას, მთებს შე- მოთ ბაცი ალისფერი გადაპკრავს. ალისფერი ერთ ხანს მუქდება, მერე კი ნელ-ნელა იღვევა.

ბინდდება, ცა მთებისფრად — ლი- ლისფრად იღებება, მთები უჩინარ- დებოან.

მთაგრეხილის თავწაწვეტილებულ ერთ მწვერვალს უცნაური შუქი ეფინება. მერე იქიდან თვალწარმტაცად თავს ამოპყოფს ოქროს უზარმაზარი, ხორ- კლიანი, შიგნიდან განათებული ბურ- თი. იგი შორდება მთის მწვერვალს, შემოთ მიიწევს, გზადაგზა ჰკარავს ოქროსფერსა და ბურთის სახეს, სავ- სე მთვარე ბრტყელ, მრგვალ, გავარ- ვარებულ რკინას ემსგავსება.

ნათიძემ მთვარეს მხოლოდ მაშინ მოწყვიტა თვალი, როცა შერმადინმა მანქანა ქალაქში შეაგრიალა.

— შხამი კი გამოვწოვე, მაგრამ გი- ურზას ნაკბენი მაინც საშიშია, — სა- ვადმყოფოს მთავარ ექიმს უთხრა შე- რმადინმა.

— მზრუნველობას არ მოვაკლებთ, — უპასუხა ტანმალაშა ახალგაზრდა ექიმმა, ნათიძე გასინჯა, მერე შერმა- დინს პირი დააღებინა, შუბლი უმალ შეექმუნა.

— პიორეა გაქვთ?.. — დიად.

— ახლავე უნდა მივიღოთ გადამ- ქრელი ზომები. შხამის გამოწოვა შეუძლია იმას, ვისაც პირის ღრუ ჯანმრთელი აქვს. იცით თუ არა?

— ვიცი, — დინჯად მიუგო.



ილია ჭავჭავაძის სახელობის პროსპექტი იწყება იქ, სადაც ამ 25-30 წლის წინათ ქალაქი თავდებოდა...

1925 წელს გამოცემულ მეგზურში „თბილისი და მისი მიდამოები“, თბილისის უნივერსიტეტის მდებარეობა ასეა განსაზღვრული: — „ვაკე, წყნეთის ქუჩის ბოლოში“. მერე იწყებოდა წყნეთის გზა. — „წყნეთში მიმავალი ექსკურსანტები, ჩვეულებრივ, უნივერსიტეტთან იკრიბებიან. ფართო შარავნა იწყება ქალაქიდან და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მიემართება — სრულიად მოტიტელებულ ადგილებზე ბაგების ხიდამდე (აქამდე 1 საათის სავალია)“ გვატყობინებს მეგზური.

ახლა ამ „ერთი საათის სავალ“ მანძილზე ფართო პროსპექტია, მრავალსართულიანი სახლები და ჩრდილ-ხშირი ჰიდრანტების ხეივანი... სასწავლო და საკვლევო ინსტიტუტების, სამეცნიერო დაწესებულებათა მაგისტრალი, სტუდენტებისა და მეცნიერთა მთავარი ქუჩა... ქართული კულტურისა და უმაღლესი განათლების კერა და ბუდე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სათავეში ჩასდგომა ამ ქუჩას.

უნივერსიტეტის ეზოში სამი ადამიანის ძველი აგებული და ეს სამი სახელი ანსახიერებს ქართული უმაღლესი განათლების დასაბამს.


ილია ჭავჭავაძე — წამომწყები ყოველივე ახალი საქმისა — უნივერსიტეტზე ოცნებობდა, მაგრამ, განა თვით ილია არ იყო ჩვენი პირველი უნივერსიტეტი? ივანე ჯავახიშვილი — სულისჩამდგმელი და ფუძის ჩამყრელი უნივერსიტეტისა. პეტრე მელიქიშვილი — დიდი მეცნიერი და პირველი რექტორი ჩვენი უნივერსიტეტისა.

და ისიც სიმბოლურია, რომ უნივერსიტეტის შენობას „ილია ჭავჭავაძის პროსპექტი № 1“ აწერია. აქედან — საქართველოს უმაღლესი განათლების ბუდიდან იბარტა საქართველოს ცხრაშეტივე უმაღლესმა სასწავლებელმა და იმ ასიოდე სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებამ, ახლა რომ ორ აკადემიათა გაერთიანებული.

დიდი განმანათლებლის — ილია ჭავჭავაძის პროსპექტს „ხზამს“ რომ მის გასწვრივ ისეთი სასწავლებლებია ჩარჩებულნი, სადაც ადამიანს თავია მისწრაფებათა და გემოვნების მიხედვით შეუძლია აირჩიოს მომავალი საქმიანობა:

— შეუძლია შევიდეს უნივერსიტეტში, მისი 12 ფაკულტეტიდან რომელიმე აირჩიოს — შეისწავლოს ბიოლოგია ან მათემატიკა, ისტორია ან გეოლოგია, ფიზიკა ან სამართალი, გეოგრაფია ან ფილოლოგია, ქიმია ან დასავლეთის ენები... მაგრამ თუ მას სურს, შეუძლია სულ სხვა მიმართულებით განავითაროს თავისი ნიჭი, — შევიდეს თბილისის სავაჭრო-კულტურულ სკოლაში და საუკეთესო კულტურის განმავითარებელი ტოპოგრაფიული ტექნიკუმი დაამთავროს და მიწის მშობელის წოდება მიიღოს, ანდა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ისწავლოს და სპეციალობად ფიზიკური აღზრდა და სპორტსმენთა წვრთნა გაიხადოს... შეუძლია შევიდეს სასოფლო-სამეურნეო ან ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში... თუმცა, თუ ეს საქმიანობა აირჩია, იგი იშვიათი სტუმარი იქნება ჭავჭავაძის პროსპექტისა, რადგან მეტ დროს მუხრანსა და დილოში, უდაბნოსა და ელდარში გაატარებს — ევენახება და ბაღებში, საძოვრებისა და ფერმების სიახლოვეს.

ჭავჭავაძის პროსპექტზე, სახლში № 32, შეუძლია მიიღოს უმაღლესი პედაგოგიური განათლება, ხოლო თუ ერთი სახლის იქით გადაინაცვლა, დაამთავრებს საფინანსო-საკრედიტო



ტექნიკუმს და არა ნაკლებ სასარგებლო მუშაი გახდება.

...ეს სასწავლებლები. მაგრამ თუ საკვლე-ვო-სამეცნიერო დაწესებულებათა ჩამოთვლას დაიწყებთ, სპეციალობათა და დარგების სია უფრო ვრცელი იქნება — აქ იკვლევენ ჰიდრომელიორაციისა და ჰიდროტექნიკის საკითხებს, შესწავლიან ტყეებს და ეწევიან ბრძოლას მცენარეთა მავნებლებთან. თითქმის ყოველ სახლში რაიმე სამეცნიერო დაწესებულება... ჭავჭავაძის პროსპექტის დასასრულს უახლოვდებით. სტუდენტთა ქალაქი, მერე ვაკის ახალი პარკი და „ქარიშხალის“ სტადიონი — არა მარტო ვაკის — არამედ მთელი თბილისის სულ უფრო და უფრო პოპულარული და საყვარელი დასასვენებელი და გასართობი ადგილებია.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან — იმ მიდამოებში სადამდინაც „ერთი საათის სავალი“ იყო, პროსპექტი ორად იყოფა და ქუჩა უხვევს მარჯვნივ, იქ, სადაც შუაგაყვითლი, შიგნულუ გამოფატრული ქედი მოჩანს — გადაივლის ქვაყრილზე და საბურთალოში გავა. ამ ახალ ქუჩას ჯერ სახელი არა აქვს, თუმცა, დროგამოშვებით გაისმის აფეთქებების გარუხუნი, დაზენებული ხრეშის ხროვები, ბუდლოზერები და ავტომანქანები დღედაღამ თავის მძიმე ჰაპანს ეწევიან,



მოკლედ, მაგისტრალი ჯერ მზავი არ არის, მაგრამ ხალხმა უკვე გაიკვლია გზა და ყველა დღეს ჭავჭავაძისა და საბურთალოს შემაერთებელ ქუჩაზე გაცხოველებული მოძრაობაა.

ვაკისა და საბურთალოს მარტო ეს გზა კი არ აერთიანებს, აქაც — საბურთალოშიაც — უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმებია, მრავალი საკვლევო ინსტიტუტი, შენდნა მეცნიერებათა აკადემიის ქალაქი. მეცნიერებამ და უმაღლესმა განათლებამ ვაკე აღარ იკმარეს — გაიჭრნენ საბურთალოში და ახლა მთელი ორჯონიკიძის რაიონი უმაღლესი განათლების და მეცნიერების რაიონად გადაიქცა.


სად იყო ვარაზის ხევი

უქმი კითხვა?

იტყვი — ყველა თბილისელი ავიხსნით, რომ აი ეს ფართო და ლამაზი ქუჩა ყოფილი ხევის ალაგასაა გაყვანილი, რომ ვარაზის ხევი ბეტონის მილითაა შებოჭილი და სამუდამოდ წაიშალა თბილისის რუკაზე... კიდევ გაივლის რამდენიმე თვე და უნივერსიტეტის პირდაპირ გაეხსნება გზა ვარაზის ხევის ქუჩის აღმა გაგრძელებას... ვაჟა ხანი და მოგონებას ვარაზის ხევე მხოლოდ ამ ქუჩის დასახელება შემოინახავს... ვაკის უბანი, ჭავჭავაძის პროსპექტი — ჩვენს წინ ჩაისახა და აიგო, თბილისის ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ და ლამაზ უბანად გადაიქცა — და სანამ გავსოვს და არ დაგვიწყვებია, უნდა აღვუხსოთ ყველა საინტერესო ფაქტი, შევავროვოთ ფოტოგრაფიები და ჩანახატები — შევქმნათ თბილისის ახალი რაიონების — ვაკისა და საბურთალოს, ღრმადელისა და ზემო ნავთლუდის ახალი ქუჩებისა და მოედნების განვითარების ისტორია — აი, შესაფერი და ხელმისაწვდომი საქმე საშუალო სკოლების ისტორიული წრეებისათვის, ან თუნდაც ისტორიკოს სტუდენტებისათვისაც.

ტრამვაი № 5 და ტრადიცია

ტრამვაი და ტრადიცია? შეიძლება გაიკვიროს მკითხველმა. ერთი პატარა, მაგრამ ყველა თბილისელისათვის ბევრის მანიშნებელი მაგალითი აღვიღად აგვიხსნის, თუ რის შესახებ გვინდა ვესაუბროთ. მრავალი ათეული წლის განმავლობაში ყველა თბილისელი და არა მარტო თბილისელი, არამედ ყველა, ვისაც კი ოდესმე თბილისში უცხოვრია, შეჩვეული იყო, რომ ვაკის მიმართულებით დადიოდა ტრამვაი № 5 — „სტუდენტური მარშრუტი“. ყველას, ვისაც კი უსწავლია „სახუნტას“ და „სასოფლოში“, ან ვაკის სხვა რომელიმე სასწავლებელში, სიყვარულით იგონებდა „ხუთიანს“, მასთან იყო დაკავშირებული სტუდენტური წლები, ახალგაზრდობის მოგონებანი... და, აი, 1958 წელს ტრამვაის ხაზების რეორგანიზაციის დროს, ვაკის ხაზი დაუკავშირდა მარცხენა ნაპირს და ამ ახალ ხაზზე მავალ ტრამვაის მარშრუტს № 2 მიეკუთვნა. ვიტყვი: რა მოხდა? —





მით უმეტეს, რომ რუსულად ეს სახელწოდება ასეა წარწერილი: („Кавширская улица“) მგონი, ამ ქუჩაზე ოდესღაც საფოსტო განყოფილება იყო, მაგრამ, ნუთუ ეს იმდენად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ მისი უკვდავყოფა იყო საჭირო.

ჭავჭავაძის პროსპექტს რომ გავყვეთ. — შევხვდებით ნაფარულის ქუჩას, შემდეგ რაფიელ ერისთავისას, ბაზალეთისა და სხვა...

ამავე დროს ზოგიერთ ამ ქუჩასთან დაკავშირებული ისეთი სახელები რომელთა მივიწყება არ გვმაროებს: მაგალითად, ბაზალეთის ქუჩაზე მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა შესანიშნავი ქართველი მეცნიერი ალექსანდრე თვალჭრელიძე. რატომ არ უნდა ერქვას ამ ქუჩას მისი სახელი?.. მაგრამ ამ საკითხზე სიტყვა გავგიგრძელდა... და ისევ სჯობს სხვა დროს დავუბრუნდეთ მას. მანამ კი, იქნებ თქვენც დაუფიქრდეთ ამ საკითხს — რა ჰქვიან თქვენს ქუჩას?

არ ვიცი, რას იტყვიან ამის გამო თბილისის საბჭოს იმ განყოფილებაში, რომელიც ქუჩების დასახელებას განაგებს, მაგრამ ფაქტი კია, რომ თბილისში ბევრ ქუჩას სრულიად შეუფერებელი და გაუმართლებელი სახელი აქვს. მგონია, რომ ეს საქმე ყველა თბილისელ მოქალაქეს ეხება და მას დროზე უნდა მოველოს.

ახალი პროსპექტის „ძველი და ახალი“

ჭავჭავაძის პროსპექტზე მრავალი შენობა აგებული — ბევრი მათგანი უკვე მოძველდა (მაგალითად, ოცდაათიან წლებში აგებული საცხოვრებელი სახლი აბრეშუმის ფაბრიკისა). ზოგს ნაჩქარევი და მოუფიქრებელი არქიტექტურული „გატაცების“ დადი ატყვია (კოშკებით და შპილებით გატაცების ხანაში აგებული სახლი ბაზალეთის ქუჩის კუთხეში). მაგრამ მრავალი შენობა იზიდავს მნახველს საინტერესო არქიტექტურით, ახლებური გადაწყვეტით ეროვნული მოტივების გამოყენებისა არქიტექტურაში.

თბილისელები ინტერესით ადევნებენ თვალს ყოველი ახალი შენობის დასრულებას. აი, შემოსნეს ხარაჩოები ახალ საცხოვრებელ სახლს (პროსპექტის № 7) და ქუჩაში ხშირად დაინახავთ დაინტერესებულ გამვლელთა ჯგუფებს, ყური რომ დაუგდოთ ამ იმპროვიზებულ „საჯარო განხილვებს“ დაარწმუნდებით თუ რა გულისხმიერი და მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები ჰყოლია ჩვენს არქიტექტურას.

ჭავჭავაძის პროსპექტი ლამაზია, ლამაზია მისი სახლების მწყობრი რიგი, ლამაზია ხედი, რომელიც იშლება მის გასწვრივ. პროსპექტი თანდათან ზევ-ზევით იწევეს და ვაკის პარკთან ახალ სახეს იღებს, იგი თანდათან უკავშირდება გარემო ბუნებას, — ჯერ ნორჩ, მაგრამ უკვე საკმაოდ აქოზ-

რილ ვაკის პარკის და „ქარიშხალს“ სტადიონის მეშვეობით...

ბევრი კარგის თქმა შეიძლება ჭავჭავაძის პროსპექტის გამო — ამ ნათელი და სასიამოვნო მშენებელი ნაწარმის დასრულების და დაინახავთ რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ ახლავს მას.

გავყვეთ პროსპექტს, შევიაროთ მის შენაკად ქუჩებში და დაინახავთ რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ მოუწყობიერებელია და უწყურადღებოდა დროგებულად.

ეს ქუჩები ოცი თუ ოცდახუთი წელია რაც არსებობენ, მაგრამ აქაც საკუთარი „ძველი და ახალი“. მართალია ეს „ძველი“ სულ ორ-სამ ათეულ წელს თუ დაითვისი, „ახალი“ კი ჯერ დასრულებულიც არაა.

ახალია ის, რომ ყველა ქუჩებში გაზის მილები გაჰყავთ და მალე „ყველაზე იაფი და ჰიგიენური“ სათბობი შევა ჩვენს სახლებში, ისიც, რომ მრავალ სახლში ცენტრალური გათბობა მოწყობილი;

ძველი კი ის არის, რომ ზოგ სახლს ჯერ კიდევ შემოთ ათბობენ და ნახშირგორელი მხერხავები უღრტენიველად ხერხავენ ათას კუბმეტრით შემოს, რათა შეყარონ ღუმელში, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი 0,5 პროცენტია!

ახალია აი ამ ჰადრების შესანიშნავი ხეივანის ლამაზი და აქოზილი ხეები, ძველი კი ის არის, რომ ტოპოგრაფიული ტექნიკუმის ადმინისტრაციის სხვა ადგილი ვერ გამოუნახავს და გოჯიანი ლურსმნებით მიუჭედებია ხეზე ერთბაშად ორი დაფა.

ახალი, აი ეს შესანიშნავი შენობებია, რომლებიც ყველა მნახველს სიხარულსა და მოწონებას იმსახურებს. ძველი კი აი, ეს სახლია ბაზალეთის ქუჩაზე № 6, — შეხედვით და კარგად შედებილი და გაკრიკებული ფაქოების სამ რიგს დაიხაზავ, და იქვე ჩამოლაშქვული, უშუშო კი არა — უჩარჩოებო ჩამონგრეული „ლიობი“; უპატრონობისა და გაპარტახების განსახიერება — „კიბის გალია“, რომელიც სამშენებლო „ამხანაგობისა“. ეტყობა, ამხანაგობა საკუთარ ფართობს ვერ გასცდა, და როდესაც საქმე „საერთო ხმარების სათავსოებზე“ მიდგა — დარჩა ეს უპატრონო „საერთო ფართობი“ ასე დაუსრულებელი და გავერანებული.

ახალია — სიყვარულითა და მონდომებით მოწყობილი მაღაზიები, პოლიკლინიკები, კომუნალური სახელოსნოები, მაგრამ აქაც მცირე რამ ძველი — ახალ სატელეფონო ბუდურუგანაში — მოშლილი და უმოქმედო ტელეფონი (ჭავჭავაძის პროსპექტი № 19 — ვაკის ავტომატურ სატელეფონო სადგურის მეზობლად).

თქვენ იქნებ ბრძანოთ წვრილმანებიაო? ასეა, მაგრამ ამ თითქოს უმნიშვნელო წვრილმანებიდან იქმნება ქალაქის სახე, მისი გარეგანი კულტურა...


ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქალაქი, ჩვენი უბანი, ჩვენი ქუჩა და ყოველი ძალღონე უნდა ვიხმაროთ, რომ კიდევ უფრო დავამშვენოთ და სამაგალითოდ მოუპოვოთ მას, მით უმეტეს, როდესაც ეს ქუჩა — პროსპექტია და დიდი ილიას სახელს ატარებს.

თითქოს არაფერი გამოიცივლა, მალე ყველა შეეჩვივა, რომ ვაკეში № 2 დადის და არა № 5 და მხოლოდ დიდი ხნის თბილისის უნახავები თუ ეძებდნენ ამოდ № 5 მარშრუტს.

მე ამის გამო ბევრისაგან გამოიგონია გულისწყრომა, და მგონი იგი უსაფუძვლო არ უნდა იყოს. თითქოს არაფერი იყო, რა მნიშვნელობა აქვს ტრამვაის ნომერს — გინდ ხუთი ერქვას და გინდ ორი! მაგრამ ტრადიცია — ისახება თუნდაც ასეთ არაარსებით წვრილმანშიც და ის, რაც ადამიანის კარგ მოგონებებთანაა დაკავშირებული, უნდა სათუთად დავიცვათ და შევიინარჩუნოთ.

რა ჰქვია თქვენი ქუჩა?

რახან ტრადიციებზე ჩამოვარდა ლაბარაკი, ორი-ოდე სიტყვა ქუჩების დასახელებაზეც უნდა ითქვას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრ ქუჩას დიდი ქართველი მოღვაწეების სახელი შეერქ-



ვა — ისეთი სახელი, რომლებიც მათ სამუდამოდ შერჩებათ. ჩვენ ყველას გვახსოვს ზოგიერთი ქუჩების უდიდური სახელწოდებანი, რომლებიც ხალხმა არ მიიღო. ილია ჭავჭავაძის პროსპექტის „ნათლობა“ რამდენჯერმე მოხდა. ამ ქუჩის აღრინდელ სახელებს აღარავინ იგონებს. და ეს ახალი კი ხალხმა შეისისხლხორცა და შეითვისა. მაგრამ იქვე, ჭავჭავაძის ქუჩის ერთიან ქუჩები, რომელთა სახელწოდება არც რაიონის მანიშნებელია და ძნელი წარმოსადგენია, თუ რატომ უნდა დარქმეოდა, მაგალითად, უნივერსიტეტის პირდაპირ მდებარე ქუჩას „კავშირის ქუჩა“ (რა „კავშირის“ გულისხმობდნენ მისი ავტორები, ძნელი ამოსაცნობია,





მუჟ ვ სიბრჟი კუჟი

პალკა გინჩიძე

ამ რამდენიმე ხნის წინათ პრადაში გამოვიდა პრადის უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ქართველოლოგ იარომირ იედლიჩკას მიერ ჩეხურ ენაზე ლექსად და პროზად თარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. წიგნს წამდგარებული აქვს იარომირ იედლიჩკას ვრცელი შესავალი წერილი, რომელშიც მეცნიერი-მთარგმნელი დაწვრილებით ეხება პოემასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს.

წიგნს დართული აქვს მთარგმნელის შენიშვნები და განმარტებანი. ფრონტისპისად მიცემულია საყოველთაოდ გავრცელებული შოთას პორტრეტი, ბოლოში კი დართულია ვახტანგისეული 1712 წლის გამოცემის თავფურცელი (1937 წ. საიუბილეო გამოცემაში გადმოიბეჭდა), „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის — მეფე ვახტანგ VI-ის პორტრეტი, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული 1671 წლის ხელნაწერის ნიმუში და სხვ.

წიგნი გამოცემულია პრადის მხატვრული ლიტერატურის, მუსიკისა და ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 1958 წელს, ჩასმულია მაგარ უღაში, სუბერი და გრაფიკული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ზედნიკ სკლენარჟის, რედაქტორია იტა კრშესალკოვა.

თავფურცელს წინ უძღვის წარწერა: „ცოცხლობენ საქმენი წარსულისა“.

აქვე საქირად მიგვანია აღვნიშნოთ მთარგმნელის მიერ წიგნის ბოლოში დართული პოემის გამართა სახელების სია. ამ სახელების ფონეტიკურ ტრანსკრიპციაში სათანადო ასპირატები არის მოცემული, რაც ჩვენ მკითხველს საშუალებას მისცემს სწორად წაიკითხოს სახელები, მაგალითად, თინათინ, და არა ტინატინ, როშაქ, და არა როშაკ და ა. შ. პოემის ჩეხურ ტექსტში კი ასპირატები მოხსნილია, რადგან, როგორც მთარგმნელი ამბობს, ლექსის კითხვის დროს სულ ერთია უასპირაციო ბგერები მკვეთრად არ გამოიყოფაო.¹

„ვეფხისტყაოსანი“ ჩეხურ ენაზე უდიდესი მოვლენაა ქართველი და ჩეხი ხალხის კულტურული და მეგობრული ურთიერთობის ისტორიაში. ჩვენ ხალხს, რომელიც თავის ენაზე უკვე კითხულობს ქართულ ხალხურ ზღაპრებს, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, დანიელ ჭონჭაძის, ლეო ქიჩელის, მიხეილ ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძისა და მრავალი სხვა შესანიშნავი ქართველი მწერლის ნაწარმოებებს, დღეს საშუალება მიეცა გაეცნოს მსოფლიო ლიტერატურის მშვენიერებს, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.

„ვეფხისტყაოსანი“ აღამიანის მაღალ, აღამიანურ ღირსებათა ჰიმნია, დიადი ჰიმნი მეგობრობისა და სიყვარულის, ქალის პატივისცემისა და ერთგულების, სიმამაცისა და მოკრძალების, ძმობისა და ძმადნაცობის.

ამ ჰიმნის ჩეხურ ენაზე გადასატანად იარომირ იედლიჩკას უთუოდ დიდი შრომის გაწევა მოუხდა, მთარგმნელის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა და, რამდენადაც ჩვენ ჩეხურ ენაში ვერცხვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იარომირ იედლიჩკამ ღირსეულად და წარმატებით ამოხსნა ეს ამოცანა.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ჩეხურ ენაზე თავიდან ბოლომდე თექვსმეტმარცვლოვანი შაირითაა თარგმნილი, ერთრითმიანი კატრენებით. ყველგან, მთელ თარგმანში დაცულია მაღალი (მეორეული) — ოთხ-ოთხ მარცვლოვანი შაირი და დაბალი (მინორული) — ხუთ-სამ მარცვლოვანი შაირი, და ზუსტად იმ თანამიმდევრობით, აზრითა და განწყობილებით, როგორც ეს რუსთაველს აქვს. ის, რაც აქამდე განუხორციელებლად ითვლებოდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დროს და, რაც მხოლოდ შალვა ნუცუბიძემ შეძლო თავის თარგმანში, განხორციელდა ახლა იარომირ იედლიჩკამ. საქმარისია აღვნიშნოთ, მაგალითად, რომ ცნობილი გერმანელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ უკვდავი პოემის უცხო ენებზე თარგმნის საქმეში, რუსთაველის მაღალ და დაბალ შაირს ვერ გადმოსცემს (ამბობენ, გერმანული ენის თავისებურება ამის შესაძლებლობას არ იძლევაო) და შინაგანი რითმების გამოყენებას მიმართავს, როგორც ეს ჭერ კიდევ ბალმონტმა სცადა თავის დროზე.

ავიღოთ რუსთაველის მაღალი და დაბალი შაირით შესრულებული ტაქები. რუსთაველი, როცა რაიმე ამბავს გადმოგვცემს, დაბალ შაირს მიმართავს ხოლმე, დინჯად, აუჩქარებლად მოგვითხრობს:

იყო არაბეთს/ როსტევან,/ მეფე ღმრთისაგან/ სვიანი,
მაღალი, უხვი/ მდბალი,/ ლაშქარ-მრავალი,/ ყმიანი,

მოსამართლე და/ მოწყალე,/ მორკმული, განგე/ბიანი,
თვით მეომარი/ უებრო,/ კვლა მოუბარი/ წყლიანი

იარომირ იედლიჩკა ამ ტაქს ასევე დაბალი შაირით გადმოგვცემს:

უილ ვ არაბი/ როსტევან,/ კრალ პოეპნანი,/ ბლაყენი,
ხრანენი ვერნის/ ვასალუ/ ტისიცერიმი/ პაყემი,
ვზნეშენი, შტედრი,/ შლეხეტნი,/ სპრავედლივი ა/ ვაყენი,
ვიპრავეჩ ნეფე/ბრანეშვი,/ ბოაოვნიკ ნეპო/რაყენი.

ტარიელთან მოულოდნელი შეხვედრა რუსთაველს მაღალი შაირით აქვს მოცემული, თხრობა ცოცხლად, დინამიკურად მიმდინარეობს:

ნახეს უცხო/ მოყმე ვინმე,/ ჯდა მტირალი/ წყლისა პირსა,
შავი ცხენი/ სადავითა/ ჰყვა ლომსა და/ ვითა გამირსა,
ხშირად ესხა/ მარგალიტი/ ლაგამ-აბჯარ-/ უნაფრსა,
ცრემლსა ვარდი/ დაეთრთვილა,/ გულსა მდულრაღ/ ანატირსა

თარგმანშიც მაღალი შაირია დაცული:

სპატრეილი, მაკ/ ნად ბისტრეინ(ო)უ/ რიტირე ნეხნა/მი სე სკლანი,
ვედლე ნეპო,/ პლაჩიციპო,/ სტოი ვრანიკ/ ოსედლანი,
ეპო პოსტრომ/ე ა სედლო/ პერლამი ს(ო)უ/ ობეტკანი
დინი დო სეინ/ რუჟი სტრეასა/ რიტირე ვ ნეკო/ნეჩნემ ლკანი.

ასე მისდევს თარგმანში ტაქი ტაქს და არც ერთხელ გვერდს არ უშცევს რუსთაველის მაღალი და დაბალი შაირების თანამიმდევრობასა და შენაცვლებას. ამავე დროს, ხალექსო სტრიქონში ტურფების განწესრიგება, ისე, როგორც ორბინალში, თარგმანშიც ჰქმნის შაირების გასაოცარ რიტმს. რიტმზე კი დაურდნობილია ლექსი, რიტმით ცოცხლობს ის და რიტმით სუნთქავს.

მაგრამ რუსთაველის ლექსის მაღალი ღირსება, მისი ძალა და მუსიკალური უღერადობა განაპარტო ლექსის მეტრითა და რიტმით ამოიწურება?

რუსთაველის ლექსი მდიდარია ბგერათა იშვიათი შერჩევითაც — ალიტერაციებით, ასონანსებითა და კონსონანსებით. ლექსში სიტყვების ბგერები ყველაზე მკაფიოდ მოქმედობს ჩვენს სულიერ განცდებზე. ეს უბრალოდ მუსიკალური ბგერა როდია, რომელიც ამა თუ იმ განწყობილებას გვიქმნის. უღერენ სიტყვები, სიტყვები კი აზრის, სახეების, ცნებების, გრძნობების ამსახველია. და აი ეს აზრი, სახეები, ცნებები, გრძნობები გამსჭვალულნი არიან ნაირულერადი ბგერებით, რომლებიც იღვრებად ეხმინებთან ერთმანეთს და აზრებისა და გრძნობების ასოციაციების რთულ ქსელს ჰქმნიან. რა თქმა უნდა, მთარგმნელს უხდება ხოლმე ალიტერაციების შეცვლა, სხვა ბგერების გამოყენება, ვიდრე დედანშოა, მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებს თარგმანის ღირსებას, ამას ვერც აუვლის გვერდს მთარგმნელი.

ვნახოთ, როგორ უღერენ ეს ალიტერაციები (სიტყვის საწყისის ან დაბოლოების თანახმიერება) და კონსონანსები (ცალკეული ბგერების თანახმიერება) „ვეფხისტყაოსანს“ და მის ჩეხურ თარგმანში.

გველი მოშლით/ მოეკცნეს,/ ბალი შეღმა/ შერაშენდა
კოლ ტვარეე მაკ/ ჩერნი ჰადი/ კადერეე სე/ პროპლეტალი.

ხელი ჰხადეს/ ხრმალთა მათთა,/ არა ცუდად/ წელთა ებნეს
ოსვედჩილი/ ბრეიტესტ მეჩუ,/ ოსტრი მეჩ მე/ პრავემ კრამლი.

ან ავიღოთ, მაგალითად, თინათინისა და ავთანდილის გამიჭურების სურათი. რუსთაველი ამ სურათის ამსახველ ტაქს ასეთი სტრიქონით დაასკნის:

თეთრთა კბილთათ/ გამოკპრთების/ თეთრი ელვა/ ვითა ჭვირი

აქ მთელ სტრიქონში გაბატონებულია ბგერა „თ“.

ეს სტრიქონი თარგმანში ასე უღერს:

ბილე ბლესკი/ ეპო ზუბუ/ ვ უსმენევს ტედ/ ზაბლისკალი.

აქ მთელ სტრიქონში დომინანტია ბგერა „ბ“ — ბილე, ბლესკი, ზუბუ, ზაბლისკალი.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

კაცსა უკრავად/ დაბნედის/ ხმა ტარიელის/ ხაფისა
ბეზ რანი მეჩე/ ტარიელ/ სვიმ მოცნიმ ჰლასემ/ ომრაჩი.

კარვის კალთა/ ჩახლათული/ ჩავეკრ ჩავა/კარაბაყე
პლახტოვი ციპ/ ნაკრბენი/ როზკროილ სემ/ რან(ო)უ კრეყეკ(ო)უ-
შევე, ფიცხლად/ შევეკაზმე/ ცხენსა შევეკე/ შეკაზმული
ზბრომ სემ ვხალ ა/ პრეისტროილ სე/ ზაპი ზა ჩას/ნეპო რანა.

I. მთარგმნელს უნდა შეენიშნოთ, რომ არაკითხი გამართლება არა აქვს თავფურცელზე, სუბერზე „შოთა რუსთაველის“ და ეპილოგში „რუსტავის“ „ტ“-არის ტრანსკრიპციის დატოვებას.

ახლა განვიხილოთ რუსთაველის მეტაფორები. მსოფლიო ლიტერატურაში რუსთაველს ბადალი არა ჰქაჯეს. როგორც მეტაფორის ოსტატი. მეტაფორები და შედარებები რუსთაველს ადებულებს აქვს ბუნებიდან, და პოეტი მიმართავს მათ უპირატესად მაშინ, როცა სურს დაგვიხატოს თავისი გმირების სილამაზე. ყველაზე — ია და ვარდი, მინერალები და ძვირფასი ქვები — ბროლი, შავი გიშერი და წითელი ლალი, მარჯანი და იაგუნდი, თვალმარგალიტი და ჭავარი, მნათობები — მზე და მთვარე, ცისკრის ვარსკვლავი — აი რუსთაველის გმირთა საშაული. იარაღები იედლიჩკამ აქვს ბრწყინვალედ გადასჭრა საკითხი — მან ყველა მეტაფორა თარგმნა და არც ერთი მათგანის ამოხსნას, ბუნებრივია, არ ცდილა. იედლიჩკამ კარგად იცოდა, რომ მეტაფორა გახსნის შემდეგ ჰკარგავს თავის პოეტურ სიმშვენიერეს. ავიღოთ, მაგალითისთვის, ასეთი მეტაფორა:

თქვა: ზედაზედა/ მომხედების/ ნახვა მის ბროლ-ფიქალისა
შუგო შუპერტის გერმანულ თარგმანში გახსნილია მეტაფორა — „ბროლ-ფიქალისა“ — „ნათელი სახება“.

ავიღოთ მეორე მეტაფორა:
ამიდ ტირს, ბალი/ ვარდისა/ ცრემლითა აივსებოდა
რუსთაველის „ბალი ვარდისა“ გერმანულ თარგმანში გადატანილია „ვარდის-ფერ ქუთუთობად“.

იედლიჩკას კი ეს მეტაფორები ასე აქვს თარგმნილი:
პირველი:

ტედ მოჰუ ჩასტო/ სპლიეეტ სე/ ვ კრეშტალუ ეემ/ ლიბეზნემ.
მეორე:

პლაჩე, ვ ზაპრადუ/ რუყოგ(ო)უ/ მი სტეკა ჰორკის/ სლოზი პროუდ.
იედლიჩკას „ბროლ-ფიქალისა“ (ვ კრეშტალუ) დატოვებული აქვს თავის თარგმანში და „ბალი ვარდისა“ (ვ ზაპრადუ რუყოგო) და, მაშასადამე, შენარჩუნებულია პოეტური გამოთქმა.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ბრწყინვალედ თარგმნილი მეტაფორა:
მუნვე წვიმს წვიმა/ ბროლისა, / ჰვია გიშრისა/ ღარი სად
პრ(ო)უდ კრეშტალოვი/ ვალილ სე/ ოდ გაგატოვის/ სტავიდედ.

ტირან ორნივე/ ქალ-ყმანი, / ვარდისა ბალსა/ ტენია
პლაკალი ობა/ სნ(ო)უბენცი, / რუყოვი სკრაპე/იციე სად.

ხმა შაქრის-ფერად/ გაუხდა/ ვარდსა ხშირ-ხშირად/ პობილსა
ჰლას ნეენი ზ რუჟი/ როზუტკლის/ სტ(ო)უპა, კდიე როზვი/რაი რტი.

მეტაფორები, ალიტერაციები, კონსონანსები რუსთაველის ლექსში მაღალი პოეტური ოსტატობის მაჩვენებელია, მათ რიცხვს ეკუთვნიან „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული მაგამებიც. მაგამები წარმოადგენენ ომონიმებს — ე. ი. ბგერებით ერთნაირ, შინაარსით სხვადასხვა სიტყვებზე გარითმულ ტაქებს. რუსთაველის მაგამები განირჩევა მეტად რთული გააზრებით და იშვიათი მუსიკალობით. უცხო ენაზე მათი სრულქმნილად და მთელი სიზუსტით გადაცემა, დიხავს, ურთულესი საქმეა, მაგრამ იედლიჩკამ აქაც მიაღწია თვალსაჩინო წარმატებას.

აი, ვნახოთ, როგორ უღერს ჩეხურად ერთ-ერთი მაგამა ნესტან-დარეჯანის მეორე წერილში ტარიელისადმი.

თუცა მიგდის/ ღვარი ცრემლთა, / მაგრა ცუდად/ არ იდენო,
ამას იქით/ ნულარა სტირ, / ჰირსა თავი/ არიდენო;
შენნი მჭვრეტნი/ ჩემთა მჭვრეტთა/ აგინებენ, / არ იდენო;
რომე წელან/ მოგეხვიენეს, / იგი ჩემთვის/ არიდენო

ამ მაგამის განმარტება, კონსტანტინე ჭიჭინაძის მიხედვით, ასეთია:
მაგამის შემადგენლობა — არ იდენო.

1. არ იდენო — არ დაიდენო (ცრემლებს); 2. არიდენო — არიდეო (თავი ჰირსა); 3. არ იდენო — დად არ მიიჩნიეო; 4. არიდენო — სიტყვიდან რიდე (ის, რაც წელან მოგეხვია, ჩემს რიდედ გახადე, მე შაჩუქეო).

თარგმანში ეს ტაქები ასე უღერს:
მარნე ნეპრიშტი ტვე სლოზი, / ალე ტედ უქ/ ოდლოჟ ბრეიმნე
სევპო ზარმუ/ტუჟ ა სტრასტი. / ნესბრატრეი სე/ ტი, კლო ზრეი მნე,
სე სტ(ო)უბენცი/ კრასი ტვე ა/ მი ეე ნიკდი/ ნესმირეიმე.
ზავოემე, ეენე/ ტებე ზდობილ, / ოკრასლი ა/ ობესტრეი მნე!

ტაქების სიტყვათაგანითი გადმოქართულება შემდეგს ამბობს:
უბრალოდ თუმცა ცრემლსა არა ღვრი, მაგრამ ახლა მოიშორე ტვირთი
ჰირ-ვარამისა. არ იმეგობრო, ვინც ჩემზე ხელი აიღო;
ჩემსა და შენს სილამაზეს როს ადარებენ, ვერასდროს ვერ მორიგებულან.
ის, რაც ამას წინათ (წედან) რიდედ მოგეხვია, ჩემს რიდედ გახადე.
აქ ომონიმებია: ბრეიმნე — ტვირთი (ჰირ-ვარამისა); ზრეი მნე — (ვინც) ჩემზე ხელი აიღო; ნესმირეიმე — ვერ მორიგებულან (ვერ მორიგებებიან); ობესტრეი მნე — ჩემს რიდედ გახადე.

ბოლოს, გადავავლოთ თვალი „ვეფხისტყაოსანში“ მარგალიტებად გაბნეულ აფორიზმებს და ვნახოთ, როგორ აამეტყველა ისინი იედლიჩკამ თავის თარგმანში. რუსთაველი აფორიზმების სიმრავლით, მათი ღრმა შინაარსითა და წარმატებით სწორად მოგვარა. იარაღები იედლიჩკას თარგმნილი აქვს თითქმის ყველა (ორასზე მეტი) აფორიზმი ზედმიწევნითი სიზუსტით.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

სატიცონ ვარტოშვილი

მომეხი ხალი



ჩემებრ თუ გზიბლავს
ეს ბუნება, შესტრფი, შეჰხარი,
მოჯადოებულს.
გული ვითრთის და გემღერება,
მოდი, სიცოცხლე,
მომეც ხელი, მეკრდს მომეკარი.
ერთად ვიგემოთ
სიხარული, ბედნიერება.
რა სიჩუმი!
რარეად თრთის ცა იით სავეს,
ყველა ვარსკვლავი
სიყვარულის მადლით კიაფობს.
მიზღაზნება
თუთრი გემი კამკამა ზღვაზე,
ჰავლებს მთარხვეს,
დაღუმებულ ზვირთებს მიაპობს.

ხედავ, ეთერი
ვით ლიგლივებს წარნარსმშვედლით,
მთვარით იღვრება
ჯადოსნური შუქის წვეთები.
აჭარის მთები
დაბურული ფირუზი ბინდით —
ყველს იღვრებენ
ვით ვეება ლურჯი გედები.
გესმის? ზღვის სიღრმით
ისმის ჰანგი წარმტაცი გულის.
ზღვის დედოფალი
ვნებით მთვარლი, მოუხმობს
ეროსს.
მომეცი ხელი,
შენი ტრფობით ვარ დადაგული,
მომეკარ მეკრდზე,
სიყვარულით ჩვენც დავიმღეროთ!


შოთა ნიშნიანიძე

გაწვიმდება ისევ ერთ დროს,
შეაფხოთებს მიჯნურთ გულებს,
ეს წვიმა და ეს ფოთოლი
ისევ ისე იჩურჩულებს.
ისევ მოვა ის გოგონა
დედას გამოეპარება,
ასე ძვირად რომ დაუჯდა
ერთი ბიჭის შეყვარება.

მოვა გოგო შენნაირი
იის თვალზე დანამული,
მოვა ბიჭი ჩემნაირი
სიმღერა და სალაპურთი.
შეაერთებს გულთა ცემას
ამბორი და გარინდება,
მაგრამ მე ის არ ვიქნები
და ის გოგოც სხვა იქნება.

ლეკვი ლომისა/ სწორია, / ძუ იყოს, თუნდა/ ხვადია
მლადატა ლვი სე/ ნელიში, / მა ლეციე სტემანი/ სპარ აკ ლევ.
ჰირსა შიგან/ გამაგრება/ ასრე უნდა, / ვით ქვიტკირსა
სტრასტი ზმაპატ/ აკო პრადება, / კტერ(ო)უ ნელზე/ როზბორეტი.
სჯობს სახელისა/ მოხვეჭა/ ყოველსა მოსა/ხვეჭელსა
ზბრანემი სლავა/ დობიტა/ ნად ვმეხნი სტატეი/ ვინიკა.
სჯობს სიცოცხლესა/ ნაზრახსა/ სიყვდილი სახე/ლოვანი
ლიპ ტემ, კლო ვ სლავე/ ზაპინ(ო)უ/ ნეჟ ტემ, კლო ვ ჰანბე/ ჟივორეი.
პოეტურ შედარებათა დიდ გაქანებას ჩვენ ვპოულობთ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ტაქაში:
მზე უკადრი/ ტახტსა ზედა/ ზის მორკმული, / არ ნადევრი,
წყლად ეფრატსა/ უხვად ერწყო/ ედემს რგული/ ალვა მჭევრი;
ბროლ-ბადანშსა/ აშვენებდა/ თმა გიშერი, / წარბი ტევრი,
მე ვინ ვაქებ? / ათენს ბრძენთა. / ხამს, აქებდეს/ ენა ბევრი
თარგმანში ამ შედარებათა დედა-ძარღვი და გაქანება ასეა გადმოცემული:
პომენ ტრუნე/ კრასავიციე/ სლუნნა ნა სვემ/ ტრუნე ზლატემ,
რეჟეკოუ სლოზი/ ზალეევანა/ პალმა, როსტლა/ ნად ეფრატემ.
კლო სემ მა, ჟე/ ხცი მი ხვალეტი? / კლო მი ზრეი, ეე/ კრას(ო)უ
ზმატენ,
ოპევატ მი/ ნეპოსტაჩი/ მულტროვეე/ ცელის ათენ.

ამ ჩვენი მოკლე წერილის ამოცანა იყო მკითხველისთვის გვეჩვენებინა ორი-გინალიდან და თარგმანიდან მოყვანილი პარალელური ტექსტების მაგალითებზე, თუ რამდენად ზუსტია იარაღები იედლიჩკას თარგმანი, და დავინახეთ, რომ მთარგმნელს დიდი სიყვარულითა და მონდომებით გადაუტანია თავის ენაზე რუსთაველის უკვლავი ქმნილება, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება მოუმარტვებია და რუსთაველის ტექსტის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გამოუყენებია, რათა მისი თარგმანი ესთეტიკურად დედნის შესატყვისი ყოფილიყო.
თარგმანის პოეტური ღირსების შეფასება ჩვენ არ დავისახავს ამოცანად, რადგან ვფიქრობთ, ამ შეფასებას ყველაზე უკეთ ჩები პოეტები შესძლებენ, და ამ მხრივ საბოლოო სიტყვაც მათ ეკუთვნის.



ჩხეიძე მანუჩარე პროფ. პ. გუგუშვილის მკითხვენი

ქ. პრადში, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში — „პოლიტიკა ეკონომიკა“ ამას წინათ გამოქვეყნდა გრძელი რეცენზია პროფ. პ. გუგუშვილის რუსულად გამოცემული შრომის პირველ ტომზე: „მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX-XX საუკუნეებში“. რეცენზენტი ზორკა ურბანოვა მაღალ შეფასებას აძლევს ამ შრომას და სინანულს გამოთქვამს, რომ აქამდე ჩეხოსლოვაკიის მეცნიერ ეკონომისტებს საშუალება არ ჰქონდათ გასცნობოდნენ პროფ. პ. გუგუშვილის და სხვა ქართველი მეცნიერების ორიგინალურ შრომებს, „რომელთა შესწავლა შეიძლება ჩვენთვის ცოდნის მნიშვნელოვან საგანძურად იქცეს“.

დასახელებული შრომა რუსულად შემოკლებულია თარგმნილი და შეიცავს ოთხ მონოგრაფიას: „ამქრული ხელოსნობის დაშლა ამიერკავკასიაში“, „შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, „შინამრეწველური მეღვინეობა ამიერკავკასიაში“ და „მანუფაქტურული წარმოება ამიერკავკასიაში“. პროფ. პ. გუგუშვილმა მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორიის საფუძველზე შეიმუშავა მრეწველობის ფორმათა ახალი ორიგინალური სოციოლოგიური კლასიფიკაცია, ამ ნაშრომში იგი გარკვევით აშუქებს, რა არსებითი სოციოლოგიური განსხვავებაა მრეწველობის ისეთ ფორმებს შორის, როგორც არიან ოჯახური მრეწველობა, ხელოსნობა, შინამრეწველობა, მანუფაქტურა, ფაბრიკა.

ოჯახური მრეწველობა გადამუშავებითი მრეწველობის ყველაზე ადრინდელი და, მასთანადავ, პრიმიტიული ფორმაა. ჩამოყალიბებული ოჯახური მრეწველობა გულისხმობს დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობას; იგი ოჯახშივე მოპოვებული ნედლეულის გადაამუშავებას ეწევა უპირატესად საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით.

ხელოსნობა გადამუშავებითი მრეწველობის განვითარების უფრო მაღალი საფეხურია. იგი თავის კლასიკურ ფორმას ფეოდალური წარმოების წესის წიაღში, ფეოდალურ ქალაქში პოულობს. ასეთი ხელოსნობა დამყარებულია უპირატესად დაკვეთაზე.

შემკვეთი აქ, როგორც წესი, მომხმარებელია.



შინამრეწველობა, პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით, უმთავრესად იმით განსხვავდება ოჯახური მრეწველობისგან, რომ იგი უკვე წვრილ საქონლურ წარმოებას წარმოადგენს, ე. ი. გასაყიდად, ბაზრისთვის აწარმოებს. მაგრამ იგი განსხვავდება ხელოსნობისგანაც, სახელობრ იმით, რომ ხელოსანი უმთავრესად შემკვეთისათვის, ე. ი. უშუალოდ მომხმარებლისთვის აწარმოებს და, ამგვარად, იქ მწარმოებელი პირდაპირ უკავშირდება მომხმარებელს, მაშინ, როდესაც შინამრეწველსა და მომხმარებელს შორის დგას ვაჭარი (შუამავალი, შემსყიდველი).

შინამრეწველობა, როგორც შემსყიდველისთვის მუშაობა, თავის მხრივ, ფრიად რთულ და გრადაციებიან საფეხურებს გაივლის. მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით შემსყიდველისთვის მუშაობა, რამდენადმე განვითარებულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა პირობებში მნიშვნელოვან წილად კაპიტალისტურ მანუფაქტურაში გადადის.

თავისი წიგნის მესამე ნაწილში, რომელიც ასევე დამოუკიდებელ სრულფასოვან ნაშრომს წარმოადგენს, პროფ. პ. გუგუშვილი მეღვინეობის მაგალითზე დაწვრილებით გვაცნობს უმარტივესი ოჯახური მრეწველობის განვითარების თანამიმდევრობას — დაწყებული მისი პრიმიტიული ფორმიდან, ვიდრე ქარხნულ წარმოებაამდე.

პროფ. პ. გუგუშვილის წიგნის მეოთხე ნაწილი: „მანუფაქტურული წარმოება ამიერკავკასიაში“ არსებითად წარმოადგენს 1938 წელს გამოქვეყნებული მისი მონოგრაფიის თარგმანს. ამ მონოგრაფიით ავტორმა პირველმა ახსნა და თანაც მოვლენათა დრამატული ანალიზის საფუძველზე დაწვრილებით განიხილა რეფორმამდელი და რეფორმისმერმინდელი პერიოდის ამიერკავკასიაში გადამუშავებითი მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მანუფაქტურული წარმოების წარმოშობისა და განვითარების საკითხები.

პროფ. პ. გუგუშვილის შრომას პირველი ტომი გრძელი მასალებისა და დიდძალი ლიტერატურული წყაროების კრიტიკულ შესწავლაზეა დაფუძნებული. „ნაშრომი, — როგორც მისი რეცენზენტი, ჩეხი მეცნიერი დაასკენის, — მთლიან, ჩამოყალიბებულ შეხედულებას იძლევა ინდუსტრიული წარმოების პირველსაწყისი სტადიების განვითარებაზე ამიერკავკასიაში და წარმატებით აშუქებს მთელ რიგ ფუნდამენტალურ საკითხებს“.



ლიტერატურული პარალელებისა და შედარებების მოყვარულნი რობერტ ბერნსის ხსენებაზე უსათუოდ ვაუა-ფშაველასაც გაიხსენებენ ხოლმე და მაშინვე შეეცდებიან მსგავსება მოიხსონ ამ ორ დიდ პოეტს შორის. ასეთი შედარების საფუძველი მართლაც არსებობს, და არა მარტო იმიტომ, რომ ორივე პოეტი მთის შვილია; არც ის არის მთავარი, რომ ორივეს განუშორებელი თანამგზავრი სილატაკე იყო და მთელი სიცოცხლის მანძილზე ცალ ხელში გუთანი ეჭირათ, ხოლო მეორეში კალამი; დღენიადავ ლუკმა პურისთვის ბრძოლა უხდებოდათ და მათი გაუტყველი სული ერთის წუთითაც არ დამორჩილებია ბედს... შეიძლებოდა კიდევ ბევრი მსგავსების ჩამოთვლა, მაგრამ ეს შორს წავიყვანს. ყველაზე არსებითი კი ის არის, რომ ორივე დიდი პოეტის უკვდავ ლირიკას ერთი წყარო კვებავდა და ორივეს ქნარი ერთსა და იმავე თემას ემსახურებოდა.

ხალხი იყო რობერტ ბერნსის შთაგონების წყარო, ხალხისაგან მოქნდა მას შესისხლბორცებული არა მარტო თავისი ლექსებისა და ბალადების რიტმი, მოტივები, მსუბუქი იუმორი, სილაღე, სინათლე და უშუალოდ, არამედ მთელი სოფლმხედველობა, სამშობლოს დაუტყვრებელი სიყვარული, მტრის სიძულვილი, პათოსუნება, კაცური კაცობა, მშრომელი ადამიანისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი და თავისუფლებისათვის თავდადება. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად დასახელებთ ისეთ პოეტს, რომელსაც ბერნსისოდენი მიეღოს ხალხისაგან და მისებრვე გაათქვამული მიეწოდოს მშობელი ხალხისათვის.

პატარა ქალაქ იერის მახლობლად, მდინარე დუნის ნაპირას, თიხით შეღებილი ისლიან ქოხში, რომლის კედლებსა და სახურავს სუსტი ქარც კი აკვანით არწევდა და ყოველ წუთში დანგრევა ემუქრებოდა, დამ-დამობით დღიური შრომით დამაშვრალი ბერნსი იქა და თხზავდა თავის უკვდავ ლექსებს. იქვე ცეცხლს შემოსხლდოდნენ მისი მეზობელი ფერმერები, წრუ-ცვდნენ ლულს და ხალხურ მოტივებზე მხიარულად მღეროდნენ თავიანთი ღარიბი მეზობლისა და ყანის მოზარის ახალ-ახალ ლექსებს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, დროთა ქარტყლითა ბევრი დიდებული და თითქოს მკვიდრად ნაგები სრა-სასახლე აღგავა პირისაგან მიწისა, ბევრის სახელი გაცამტყერა და დავიწყებას მისცა, ის პატარა, თიხით ნაღესი ისლიანი სახლი კი, რომელშიც ამ ორასი წლის წინათ შოტლანდიის დიდი პოეტი რობერტ ბერნსი დაიბადა, ძველებურადვე დგას, რათა ღარიბი კაცის ჩვეული სიამაყითა და გულღიაობით მიიღოს დიდი პოეტის ლირიკით მოხიბლული ყველა ქვეყნისა და ყველა დროის ურიცხვი სტუმარი.

პირველი დიდი და ღირსეული სტუმარი ამ პატარა ქოხისა იყო თავისი სამშობლოდან დევნილი და რეპუბლიკური კრიტიკის მიერ შეჩვენებული ინგლისის გამოჩენილი პოეტი ჯონ კიტსი, რომელმაც მთელი ღამე თეთრად გაათენა ღარიბი ფერმერის ქოხში და დაუფიწყარი სტრიქონები უძღვნა პოეტს. „ხედავ, როგორც საჩუქარი, მე მარგუნა დინჯი ნაბიჯებით ვზომო შენი სახლი და გამოღებულ სარკმლიდან ვუყურო გორაკებითა და ამწვანებული მინდვრებით შემკულს შენს ძვირფას ქვეყანას“.

კვითხოვლობით ამ სონეტში და მართლაც ეს ქოხორა გორაკები, მწვანე ჩეილით აბიზინებული ველები, ცხვრის ფარებით თეთრად მოპენტილი მინდვრები და გლეხის სევდანარევი კისკისით გაუღნითილი შოტლანდიის გამჭვირვალე ზაფერი იყო პოეტის მთელი სამყარო — მისი სკოლადა და უნივერსიტეტიც, მისი შთაგონების წყაროცა და ლექსების თემაც, მისი დიდი სევდაცა და დიდი სიხარულიც. ამ გორაკებსა და ველმინდვრებზე გაატარა მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის უდიდესი ნაწილი. მამამისი ღარიბი გლეხი იყო და როგორც ყველა ხელმოკლე გლეხის შვილის ხვედრია, რობერტ ბერნსსაც პატარობაშივე მოუხდა დაკაცება; გუთნის მანქანს სერიანად ვერც კი სწვდებოდა, რომ მთიელის მსუბუქი მოძრაობით მიბყვებოდა კვალს და მეზობელი გუთნისდებების წაბაძულობით დაბოხებული ხმით აქეზებდა და ამხნეებდა ხოლმე ცხენებს. სადამოობით დაღლილი მამა ჰრატის სინათლეზე წერა-კითხვასა და მარტივ ანგარიშს ასწავლიდა შვილებს. დედას შოტლანდური სიმღერები და ხალხური ლექსები უყვარდა და პატარა დამაშვრალ ბერნსს ტკბილად ჩაეძინებოდა ხოლმე დედის სიმღერაში. ცოტა რომ წამოიზარდა, სკოლაშიაც მიაბარეს, მაგრამ მონაცვლეობით დადიოდა — ერთ დღეს რომ მისი ძმა სწავლობდა, მეორე დღეს თვითონ წავიდიოდა სკოლაში, მერე ისევ ძმა და ასე შემდეგ, რადგან მოსწავლეთა სიაში ორივე ძმა ერთ მთაზე იდებოდა ირიცხებოდა და როცა ერთი სწავლობდა, მეორე მინდვრად მუშაობდა. სკოლაში ბედზე ერთი კარგი მასწავლებელი შეხვდა, რომელმაც ლიტერატურა შეაყვარა პატარა ბავშვს. ნიჭიერი ბიჭი იყო და ამ არანორმალურ პირობებშიაც კი ჩინებულად დაეუფლა ფრანგულს, წმინდა ინგლისურსა და ლათინურს. აღსანიშნავია, რომ ლათინური მან სრულიად დამოუკიდებლად შეისწავლა. ასე რომ ბერნსი, საბოლოოდ, უცხო ენებსაც დაეუფლა და მსოფლიო ლიტერატურაც ჩინებულად შეისწავლა. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება, თითქოს ბერნსი მართალია ნიჭიერი, მაგრამ სრულიად გაუნათლებელი ფერმე-

რი ყოფილიყოს. ფაქტიურად იგი შესანიშნავად იცნობდა ანტიკურ ლიტერატურას, ორიგინალში კითხულობდა დიდ ფრანგ მწერლებს და ინგლისური ლიტერატურაც თითქმის ზეპირად იცოდა. განსაკუთრებით უყვარდა შექსპირი.

ლექსების წერა, გადმოცემით, ძალიან ადრე დაიწყო, მაგრამ პირველი სრულფასოვანი ლექსი ჩვიდმეტი წლისამ დაწერა. პირველივე ლექსები ბერნსმა შოტლანდურ ხალხურ მოტივებზე სასიმღეროდ შეთხზა. და შემდეგშია მრავალ მის ლექსს ხალხურ კილოზე მოარგებდნენ ხოლმე და გატაცებით მღეროდნენ. ასე რომ ბერნსის პოეზიის მთავარი წყარო და სათავე, როგორც ზემოთა ცხვენისნეთ, ხალხური სიმღერებია.

საინტერესო ის არის, რომ ჩვენი ვაჟა-ფშაველას მსგავსად, ბერნსი ხშირად მუშაობის დროს თხზავდა ლექსებს. გუთნის მანჭზე ხელჩაკიდებული, უცებ გაჩუმდებოდა, მიწას ჩააშტერდებოდა, თვლები აუციმციმდებოდა და ღრმა ფიქრს მიეცემოდა. ძამაცა და მეზობელმა გლეხებმაც იცოდნენ, რომ მაშინ ახალი ლექსი იწერებოდა და უსიტყვო ღიმილით შეპყურებდნენ საყვარელ პოეტს. ამიტომაც არის, რომ მის ლექსებს მუდამ თან ახლავს შოტლანდიის ბუნების მაღლი, ველური ყვავილების მძაფრი სურნელი, მთის ნაკადულეების რიქმიული მჩქეფარება, მთის ადამიანის პათოსანი უშუალოება და მისივე საოცარი სიმხნევე, რომელიც უდიდესი განწირულების დროსაც კი არა სტოვებს მშრომელ ადამიანს.

თავის თითქოსდა უწყინარ, მხიარულ სასიმღერო ლექსებთან ერთად, რობერტ ბერნსი თავიდანვე გამოდიოდა მძაფრი სატირით, დაუნდობლად ამოთრახებდა მემამულეთა სიხარბესა და უსინდისობას, მღვდლების ცბიერებასა და გაიძვერობას, მოღალატის სიღარბესა და სულმოკლეობას. თავისი ცნობილი ეპიგრამებით იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა სულმდაბალ მოხელეებსა და თავიანთივე ცრუ დიდებით გამოყუჩებულ დიდაცებს, ქურდებს, არამზადებსა და იმ უბადრუკ ახალგაზრდებს, რომელთაც წარჩინებულთა ნაცნობობით მოქპონდათ თავი.

წარჩინებულთა ნაცნობობით ნუ მოვაქვს თავი,
და ნუ გგონია დაგელება მაგითი ფასი,
მლილი ისევ მლილად რჩება, თუნდაც ელირსო
მოკალათება გვირგვინისან დედოფლის თმაში.

ან მეორე ეპიგრამა:

რა შავ ქეად გინდა, შენ, გალოვეი,
ეს სასახლე და მშვენიერება,
წადი მონახე სორო ბინძური,
ისეთი, შენ რომ შეგეფერება, და სხვ.

იმ მრავალ ლექსთაგან, რომლებშიაც ბერნსი მწარედ დაცინის სამღვდლოებს, როგორც სიხნელისა და უმეცრების მთესავსა და მშრომელი ხალხის მჩაგვრელს, გავიხსენოთ ერთი პატარა სატირიკული ლექსი, „იეღეგია მღვდლის ცხენზე, რომელსაც სახელად ერქვა პეგ ნიკოლსონი“. მღვდელს, აღბათ, სიმთვრალის დროს, ცხენი დაეხრჩო და ახლა პოეტი „მისტირის“ ამ საბრალო პირუტყვს. აი ამ ლექსის ბოლო ტაქები:

ნიკოლსონი კარგი ცხენი იყო,
ვერ ეტყოდით ზარმაცსა და აზისს,
ტანჯვით გავლო ეს გზა, როგორც ყველამ,
ვისაც ზურგზე მისებრ მღვდელი აზის.

თავის შესანიშნავ ბალადაში „ტემ ო'შენტერ“, რომელიც ცნობილია ხალხური ლექსის საოცარი მუსიკალობითა და ლაღი იუმორით, დაკვირვებული მკითხველი ადვილად ამოიკითხავს სამღვდლოების მწარე დაცინვას, რომელიც შეუგნებელ ხალხში ათასნაირ ზღაპრებს ავრცელებდა არარსებულ სულებსა და მოჩვენებებზე.

ამავე დროს პოეტი ხოტბას ასხამდა ღარიბი მშრომელი ადამიანის კაცურ სინდისსა და პათოსსებსა და გაბედულად უპირისპირებდა მას მდიდარი ადამიანის თაღლითობასა და გაიძვერობას.

ასეთი მამხილებელი ლექსებისა და ეპიგრამებისათვის პოეტს სიცოცხლეშივე სდევნიდნენ და სტანჯავდნენ. მაგრამ რეაქციონერთა განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმ ლექსებმა, რომლებიც ბერნსმა საფრანგეთის რევოლუციის მიუძღვნა.

რევოლუციაში პოეტი ხედავდა ხსნას, გამარჯვებისა და თავისი ჩაგრული სამშობლოს გათავისუფლების ერთადერთ იმედს, და ამიტომაც ადფრთოვანებით უმღეროდა იგი იარაღსმულ ხალხს. იმდენად დიდი იყო პოეტის სიმპათიები რევოლუციისადმი, რომ მან სცადა რამდენიმე პატარა ზარბაზანი გაეგზავნა ფრანგი რევოლუციონერებისათვის. ზარბაზნები ინგლისელმა ხელისუფლებმა დააკავეს და თუმცა დატყვევება ვერ გაუბედეს მთელს ქვეყანაში სახელმწიფოებელ პოეტს, მაგრამ „არასაიმედო პიროვნებად“ შერაცხეს და ამის შემდეგ კიდევ უფრო სასტიკი გახდა თავისუფლების მომღერალი პოეტის დევნა.

მოწინავე კაცობრიობა გატაცებით კითხულობს ბერნსის ლირიკას. საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბერნსი მარშაკის ბრწყინვალე თარგმანების გამოქვეყნების შემდეგ. საქართველოში ბევრჯერ უთარგ-

მნიათ ბერნსის ლექსები სხვადასხვა პირთ. უკანასკნელად გამოვიდა ახალგაზრდა პოეტის თამარ ერისთავის თარგმანები, რომელშიც მთარგმნელი კარგად ახერხებს პოეტის ნათელი, მუსიკალური სტიქონების გადმოტანას.

ბერნსის შემოქმედებაში ერთ-ერთი ძირითადი მოტივი — ეს არის პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, მტრის ფეხით გათელილი მშობლიური ქვეყნის განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მოწოდება. მაგრამ ბერნსის პატრიოტიზმი განსხვავდება მისივე თანამემამულის ვალტერ სკოტის პატრიოტიზმისაგან; წარსულის გადაქარბებული იდეალიზაციის ნაცვლად, ბერნსის პატრიოტიზმი უფრო აქტიურია, შემტევი და თანამედროვეობის სულისკვეთებით გაჟღენთილი. მისი შესანიშნავი ლექსი, „ბრიუსის მოწოდება“, რომელიც მიძღვნილია ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი მეფის რობერტ ბრუსისადმი, ხალხმა დაწერისთანავე შეითვისა და შეისისხლბორცა. მას „შოტლანდიური მარსელიოზა“ უწოდეს, და დღემდე ამაყად მღერის შოტლანდიელი ხალხი ამ ლექსში გამოთქმულ გმირულ სიტყვებს.

„ვინ გვილატებს, ვინ იქნება ეგზომ მუხთალი,
რომელ სულმდაბალს დაერქმევა მონა და მხდალი,
ვისაც არ ძალუძს მოიხადოს კაცური ვალი,
სჯობს განგვერიდოს, შორს დალატი, შიში და ძრწოლა.
ნუმც მოგვეთმინოს ჩაგვრის ბოღმა ტყვილის შიშით,
ნუმც გაეხაროს მტერს ჩვენს შვილთა ვაით და ვიშით,
მამ რისთვის გვიდგას სისხლი ძარღვში და სული პირში,
შთამომავლობა თუ ბორკილებს არ გადარჩება.“

იმდენად ძლიერია პოეტისათვის სამშობლო ქვეყნის სიყვარული, რომ უმნიშვნელო იუმორისტულ ლექსშიაც კი არ ივიწყებს საშუაველ მტერს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ფეხით თელავდა შოტლანდიის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. ამ იუმორისტულ ლექსში აღწერილია, რა საშინელო კბილისტიკვილი აწამებს პოეტს.

„წყუელიმც იყავ, ოხერ-ტილო,
ღრძილებს მიშნათავ, ტენში ტრიალო,
ყურებს მიბურღავ, — გვენესი, ვღრიალებ გაბოროტებით,
ტანსაცმელს ვიხევე, და ვკოტრიალო, მოგთქვამ გოდებით...“

და ბოლოს:


„პოი, სატანავ, ბნელსახიერო,
შავი კუბრის და ცეცხლისმეიერო,
შოტლანდიის მტრებს, სულო ძლიერო, გვედრებ კივილით,
გადაუხადე სამაგიერო კბილის ტკივილით.“

რობერტ ბერნსი, როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე, მუდამ გაბედულად და მედგრად გამოდიოდა ყოველგვარი დამპყრობელური ომების წინააღმდეგ, ერთ თავის წერილში იგი წერდა: „გამოაციდათ ოდესმე გულისწყრომა ისეთი ძლიერი, რომ ლამის გული გაგისკდეთ, როცა კითხულობთ უფლებამოსილ არამზადებზე, რომლებიც სახელმწიფოებს ერთმანეთს მიუხევენ, მქედროდ დასახლებულ ქვეყნებს უდაბნოდ აქცევენ, ხალხს ყლტენ... და რისთვის? მხოლოდ პათივმოყვარეობის ან სხვა უფრო ქვენა გრძნობების გამო.“

დღესაც არ დაუარავს ძალა თითქმის ორასი წლის წინათ დაწერილ შესანიშნავ სტიქონებს —

„ვინც რა უნდა თქვას, რავინდ რა იყოს,
ეს ჩემი სიტყვა არ გაწბილდება,
მოვა დრო, ქვეყნად გაქრება შუღლი
და კაცი კაცთან დამშობილდება.“

ამიტომაც არის რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დადგენილებით დღეს მთელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მშვიდობისმოყვარე ხალხები სიყვარულით აღნიშნავენ თავისუფლებისა და პათოსანი შრომის მეზობლის, მშვიდობის დიდი მომღერლის რობერტ ბერნსის დაბადების 200 წლის თავს.



საქ. მსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ჯორჯ ტომსონი, თავის წიგნში „მომავლის წინასწარხედვა“, განიხილავს ზოგადოვანი მეცნიერებათა განვითარებას უახლოეს 100 წლის მანძილზე და გამოჰყავს აქედან გამოძინარე დასკვნები.

დედამიწის მინერალურ სათბობთა მარაგიდან ავტორი, უპირველეს ყოვლისა, ასახელებს ნავთობს და მიაჩნია, რომ მისი მარაგი საკმარისი იქნება მხოლოდ 25 წლის მანძილზე, ქვანახშირი კი, თუ მას დახარჯავენ იმავე რაოდენობით, როგორც დღეს, სახელდობრ, წელიწადში 1300 მილიონ ტონას, საკმარისი იქნება 4000 წლის განმავლობაში, თუმცა დასძენს — ცივილიზაციის ბედი დამოკიდებული რომ იყოს მხოლოდ ქვანახშირის მოპოვებაზე, მაშინ აღმოჩენილი იქნება სულ ახალი და ახალი ფენები. ელექტრო-ენერჯის რესურსების გამოყენება, ავტორის აზრით, შეიძლება გაიზარდოს 20-ჯერ. მზის ენერჯია შეიძლება გამოყენებულ იქნას სახლების გასათბობად და გასაგრილებლად, აგრეთვე, საკვების დასამზადებლად, ერთი სიტყვით, ენერჯის რესურსები მრავალმხრივია, მაგრამ რადგან 2050 წლისათვის დედამიწის მოსახლეობა გაიზარდება 6-8 მილიარდამდე, გაიზარდება ენერჯის ხარჯვაც ერთ სულ მოსახლეზე, ამას გარდა თავის საზღვარს მაღლწევს ენერჯის მარაგის მრავალი სახეობა, და მაშინ ენერჯის მთავარი წყარო იქნება ატომგულური რეაქცია.

პროფესორი ტომსონი შენიშნავს, რომ რკინის გამოყენებამ მხოლოდ მე-19 საუკუნეს მაღლია თავის უმაღლეს განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ პირველად რკინა მიღებულ იქნა ოთხი ათასი წლის წინათ. ავტორის რკინის თანდათანობით შემცველ მასალად მიაჩნია ტიტანი და მისი შენადნობები — გერმანიუმი და ცირკონიუმი. თვითმფრინავის ფრთების მოყვანილობა თანდათან დაემსგავსა ჩიტის ფრთებს და უფრო მეტ დეფორმაციებს გაუძლებს. ხილები, შენობები და რთული ნაგებობანი კი, ახალი მასალების წყალობით, ვეღარ „იგრძნობენ“ საკუთარ სიმძიმეს, ისევე, როგორც ვერ გრძნობენ ამას შვერები.

თვითმფრინავის სიჩქარე 4-ჯერ გადააჭარბებს ბგერისას, ატლანტიკის ოკეანეს ერთ საათში დაფარავს მგზავრი, ავსტრალიაში ჩასვლას კი ხუთ საათს მოუნდება. ავტორის თქმით

„ამაზე დიდი სიჩქარე პრაქტიკაში აღარ იქნება საჭირო, რადგან რა აზრი იქნება გაფრინდვ ავსტრალიაში, ვთქვათ, სინათლის ნახევარი სისწრაფით ე. ი. წამში 150.000 კმ-ით, თუ კი ბილეთის აღებასა და ბარგის ჩაბარებას ნახევარი საათი მოუნდება. თვითმფრინავი მალე კონკურენციას გაუწევს სატელეგრაფო და რადიო კავშირის ქვეყნებს შორის. მსუბუქი ავტომობილი ისევე დარჩება ქალაქის უსწრაფეს ტრანსპორტად, მისი სიჩქარე აღარ გაიზარდება. ავტორი არც მატარებლებს უწინასწარმეტყველებს სიჩქარეთა მომატებას. „შესაძლებელია, — სწერს ტომსონი, — რომ ჩვენს საუკუნეზე ილაპარაკონ, როგორც ტრანსპორტის პრობლემის გადაჭრულ საუკუნეზე, ჩვენი პლანეტის მასშტაბით“.

ლაპარაკობს რა საპლანეტოაშორისო მოგზაურობაზე, ავტორი ასახელებს მეორე კოსმიურ სიჩქარე 11,2 კმ-ს სეკ-ში, რომლითაც რაკეტა თავს დააღწევდა დედამიწის მიზიდულობას და გაფრინდებოდა მთვარესა და სხვა ციურ სხეულებზე. სწორედ ეს სიჩქარე განვითარა პირველმა საბჭოთა საპლანეტოაშორისო რაკეტამ და გადაიქცა მზის ხელოვნურ პლანეტად, მხოლოდ არა 50 და 100 წლის შემდეგ, როგორც ამას ტომსონი ვარაუდობდა, არამედ სულ 5 წლის შემდეგ მისი წიგნის გამოსვლიდან.

სულ სხვა გარემოებას ექნება ადგილი, თუ კი აღიძვრება სურვილი მზის სისტემის დატოვებისა და თუნდაც ყველაზე ახლობელ ვარსკვლავთან, პროქსიმა ცენტავრასთან მიფრინვისა, რომელიც ჩვენგან 4,3 სინათლის წელიწადითაა დაშორებული. ეს იმას ნიშნავს, რომ 4 წელი და 4 თვე უნდა იფრინო სინათლის სისწრაფით, 300.000 კილომეტრით სეკუნდში, რომ მაღლივ ამ ვარსკვლავს. ახლა შესაძლებელია ელექტრონისა და პროტონის ამოძრავება ისეთი სიჩქარით, რომელიც ბევრად არ ჩამოუვარდება სინათლის სიჩქარეს. სინათლის სიჩქარის განვითარებისას, მეტად უცნაური ამბები ხდება და მოსალოდნელია, რომ ჩვეულებრივი ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების მიმდინარეობა შენელებს, სწერს ავტორი. დროის რელატიური შეკეცის პრობლემა ექვის ქვეშ იყო დაყენებული, რადგანაც ამის წარმოდგენა პარადოქსამდე მიდის. თუმცა მსოფლიოს უდიდესი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ასეთი

შეკეცა დროისა შეიძლება მოხდეს — დედამიწაზე დაბრუნებული ასტრონავტი აღმოაჩენს, რომ „შინ“ დრო უფრო სწრაფად მიჰქროდა, ვიდრე მის კოსმიურ გემზე. სინათლის ნახევარი სისწრაფით მოგზაურობისას დროის მასშტაბი მხოლოდ 15%-ით შეიცვლება, პროქსიმა ცენტავრასთან მიფრინვისას და უკან დაბრუნებისას სჭირდება 17,2 წელიწადი, კოსმიური ეკიპაჟის წევრი კი ამ ხნის განმავლობაში „დაბერდება“ მხოლოდ 14,6 წლით. თუმცა, დასძენს ავტორი, რაც არ უნდა მომხიბვლებელი იყოს ვარსკვლავებს შორის მოგზაურობა, არა მგონია დიდი ყურადღება დაიმსახუროს მუდმივი ახალგაზრდობის პრობლემამო.


კლიმატის შეცვლას ტროპიკულ უდაბნოებსა და მუდმივი გამყინვარების ზონებში ავტორი უკავშირებს ატომურ ენერჯიას. ამჟამად დედამიწაზე ამუშავებენ მხოლოდ 9%-ს ხმელეთისას, დანარჩენი მიწა მომცდარია. 16% უჭირავს საძოვრებს. „თუ კი 60 წლის შემდეგაც საკმარისი არ იქნება საკვები პროდუქტება, შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ მის მნიშვნელოვან ნაწილს მოიყვანენ ჩრდილოეთ ციბირისა და კანადაში“.

პროფესორი ტომსონი ეხება ცხოველთა მომინაურების საკითხს და მოაგონებს მკითხველს, რომ ცივილიზებულ კაცობრიობას აღარ მოუშინაურებია ახალი ცხოველი ჰანიბალისა და კართაგენელების შემდეგ, რომლებსაც სპილო ჰყავდათ მომინაურებულში. ავტორის აზრით, ადამიანს მხედველობიდან გამორჩა ისეთი მაღალგანვითარებული ცხოველი, როგორცაა მაიმუნი. მისი ხელება თუმცა არაა ჩვენი ხელებივით მოქნილი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მაიმუნის მოსახრებულობას, შეიძლება ეს ცხოველი მეტად სასარგებლო გახდეს სოფლის მეურნეობაში. რა რთული ელექტრომოწყობილობა დასჭირდებოდა, ვთქვათ, ფორთოხლის მექანიკურ კრეფას, ისე რომ მანქანას ხე არ დაეზიანებინა, ეს საქმიანობა კი გაწვრთნილი მაიმუნისთვის ადვილი მოსახერხებელია (ყურნალ „ე ზაშიტუ მირა“-ში დაბეჭდილი იყო წერილი ჩინური ჩაის ისტორიიდან, იქ სხვათა შორის ლაპარაკი იყო გაწვრთნილ მაიმუნებზე, რომლებსაც ძნელად მისადგომ კლდეებზე ავზავნიან ჩაის საკრეფად).

ჯორჯ ტომსონი თავის წიგნში ხაზს უსვამს მედიცინის დიდ მიღწევებს

და სვამს კითხვას, თუ რა შეიძლება გაკეთდეს კიდეც — მეცნიერებს — ამ დარგში. მისი ცხოვრება — კრედიტული დაუტრელი საკითხია მოხუცებულობის პრობლემა. უმაღლესი განვითარების ცხოველები ისეთი რთული აგებულებისა არიან, რომ ავტორის თქმით, მათ სიბერეს არ უნდა იწვევდეს ბუნების რაღაც გარდაუვალი კანონი, თუ კი ეს ასეა, მაშინ შესაძლებელია სიბერის დამარცხება. მედიცინის მუშაებმა, ტომსონის აზრით, მთელი ძალები უნდა მიმართონ ახალგაზრდობის ვადის გახანგრძლივებაზე, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კიდეც ახალ მომავლინებელ ავადმყოფობათა დამარცხება, რადგან არა აქვს აზრი ყოველმა ადამიანმა იცოცხლოს 90 წლამდე, თუ კი უკანასკნელ 20 წელს დაუძლურებულ მოხუცებულობაში გაატარებს. ავტორის აზრით, აუცილებელია უფრო ღრმად იქნას შესწავლილი ფიზიოლოგიური პროცესები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ექიმებს ყველაზე ნაკლებად გასაგები ჰგონიათ. ასეთი მუშაობის დროს შეიძლება აღმოჩენილი იქნას კიბოს საიდუმლოება. „ამ დარგში იმდენი რამ გაკეთდა და ისეთი მცირე შედეგები მივაღწიეთ, რომ ნათელია — პირდაპირი შეტყვევით მიზნის ვერ მივაღწევთ“. რომელიმე მოულოდნელი აღმოჩენა ფიზიოლოგიაში შეგვაცდევინებს ჩვენს თანამედროვე წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ იზრდება და იყოფა უჯრედები ცოცხალ ორგანიზმში. ამის შემდეგ კიბოს საიდუმლოებასაც მოიფინება სინათლე. „მხოლოდ უბრალო, შედაპირული პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება პირდაპირი შეტყვევით, დანარჩენები კი დამოკიდებულია იმ დარგთა ფუნდამენტალურ ცოდნაზე, რომლებიც კიდეც არ არის შეთვისებული. და მანამდე, სანამ ამ ცოდნას არ შევიძენთ, რაიმე შედეგზე ლაპარაკი ფუჭი საქმეა“.

ტომსონი სწერს კიბერნეტიკულ საანგარიშო მანქანებზე, რომლებიც პანიკასა და გაფიცვებსაც კი უწინასწარმეტყველებენ კაბიტალისტ მავანტებს. იგი სწერს ჭიანჭველათა საოცარ ცხოვრებაზე, რომლებსაც ადამიანმა მხოლოდ უკანასკნელ ათას წლებულში გაუსწრო განვითარებით, დაბოლოს იგი ლაპარაკობს ადამიანის გონების განუსაზღვრელ შესაძლებლობაზე, რომლის მომავლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია.



პატრ მ. თამარაშვილს თავის წიგნში საქართველოში კათოლიციზმის ისტორიის შესახებ მოპყავს რომის პაპის წერილი სიმონ მეფისადმი, რომელიც ეჩინაძინელ აკოპას ჩამოუტანია და რომელზედაც მაშინვე პასუხი გაუცია, მეფეს (მთელი ტექსტი მოყვანილია მის წიგნში).

ამას წინათ ცნობილმა არმენისტმა ფ. მაკლურმა, მუშაობდა რა ქსანეთის არქივებში, ერთ „საქმეში“ აღმოაჩინა 2 საინტერესო საბუთი ხელმოწერილი სიმონ მეფის მიერ. ისინი მიმართულია ქსანეთის მაშინდელ უპოლიტიკო მეფე ფილიპე მეორისადმი, რომელიც თავამოდებით იცავდა კათოლიციზმს. ეს დოკუმენტები რომის პაპთან სიმონ მეფის მიმართულია თავისებური დამატება.

როცა პაპმა თურქების წინააღმდეგ თვითონ ვერაფერი გააწყო, მთელი თავისი იმედი მიაპყრო ფილიპე მეორეს, რომელმაც ლებანტოსთან დაამარცხა თურქეთის ფლოტი.

ამ ფილიპეს უგზავნის თავის წერილებს სიმონ მეფე. აღნიშნავს რა ფილიპე მეორის ძლიერებას, მას უყვება ურჯულეობთან დაუსრულებელი ბრძოლებით გამოწვეულ ტანჯვა-წვალებასზე. იგი მიმართავს წინადადებით მოსკონ თურქები, თანაც განუმარტავს, რომ იგი, ალექსანდრე-ხანი (ალექსანდრე II კახეთის მეფე) და შაჰ-აბასი — სამივე გავრთიანდით და დაეადგინეთ: შეეპყი-დროედეთ და გავანადგუროთ თურქები, რომ მათ ხელიდან გამოვვლიჯოთ „წმინდა იერუსალიმი“. ახლა გვედრები მხარში ამოგვიდევ, ზურგი გავვიმავრე, რომ ჩვენ სხვა ქრისტიან ხალხებთან თანასწორობი გავხდეთ.

გთხოვ იმოქმედო გერმანიის იმპერატორზე, რათა მან ზავი არ დადოს თურქებთან.

ეს წერილი დაწერილია სომხურ ენაზე, რადგან იმ დროს მრავალი სომეხი ვაჭარი კომერციულ საქმიანობას ეწეოდა ვერაბის ცენტრებში და მათ შეეძლოთ წერილი ეთარგმნათ, მაგრამ როგორც ჩანს, ეს წერილი დანიშნულები-სამებრ არ მისულა. მაშინ იგივე სიმონ მეფე მიმართავს ისევ ფილიპე მეორეს და ახლა წერილს ბერძნულად წერს (1596 წ. 26 აგვისტო).

ამ ბარათში მოკლედ იმეორებს პირველ წერილში ნათქვამს, რომელიც ისევ საყვედურობს თურქების მიერ შევიწროებაზე, რომელთაგან 14 წელიწადია ჩავგრას განიცდის. იგი თხოვს მეფეს დახმარებას, შეადგინოს ლიგა გერმანიის იმპერატორის (ნაგულისხმევია რუდოლფ II) და ტრანსილვანიის მფლობელის (გერმანიის იმპერატორის ნათესავის) მონაწილეობით და დაარტყას თურქებს ორი მხრიდან.

შემდეგ განაგრძობს, რომ მან მიწერა პაპს (კლიმენტი VIII), იმპერატორსა და ტრანსილვანიის მფლობელს და მათგან მიიღო პასუხი, რომელშიაც ალუთქემენ დახმარებას.

ახლა სიმონ მეფეს უნდა გაიგოს, თუ რას აპირებს ფილიპე მეორე და ისევ თხოვს, შექმნას ლიგა პაპის, იმპერატორისა და ტრანსილვანიის მფლობელის მონაწილეობით. მათ ალუთქემენს დაიწყონ სამხედრო მოქმედება თურქეთის ტერიტორიაზე.

„ამდგვარად, ისინი ერთი მხრით, თქვენ — მეორე მხრით, ჩვენ კი მოწინააღმდეგე მხრიდან შეერთებული ძალით მოვსპოთ თურქების ძლიერებას.

ამავე დროს მოკრძალებით გთხოვთ ნუ მისცემთ უფლებას იმპერატორსა და ტრანსილვანიის მფლობელს, რომ თურქებთან შეკრან ზავი. ჩვენ სამივემ შევეციეთ თავი დავიცვათ. დე თქვენმა უფანათლებულესობამ იცოდეს, რომ ტრანსილვანიის მფლობელმა მოგვეწერა წერილი და დაგვიბრდა დახმარებას. განსაკუთრებით დამედებულ ვართ, რომ თქვენ გავვიწევთ დახმარებას. ამისათვის მივწერეთ მეორე წერილი პაპს“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მესვეურებს ასეთი იმედი ჰქონდათ, მიწერ-მოწერას არავითარი შედეგი არ მოუცია.

მარტოდმარტო დაჩრენილმა სიმონ მეფემ გმირული ბრძოლით აიღო გორის ციხე (1600 წ.), მაგრამ თურქების ურიცხვი ძალა ვერ გასტეხა. იგი ტყვედ ჩავარდა და უცხო მხარეს ციხეში გარდაიცვალა.

ი. ენიკოლოვაშვილი

როგორ გავხსნან გრძლივით ყვავილი სიცოცხლე

თუ ყვავილს წესიერად მოუვლით, იგი დიდხანს იცოცხლებს, დიდხანს დაგვიშვებთ ბინას, ამიტომ დამახსოვრეთ შემდეგი:

ყვავილების მოჭრა ყოველთვის დილაადრიან სჯობია, როდესაც ყვავილი მკვრივი და ახლად გამოვლიძებულია, მისი ცვრით მოვერცხლილი ფურცლები კი — წვენი სავსე.

წვიმიან ამინდში ყვავილის მოჭრა არ არის სასურველი. ყვავილი კარგად გალესილი დანით უნდა მოიჭრას, არ ვარგა მაკრატლის ხმარება. მაკრატელი ღეროში გამავალ მიღებს ავიწროებს და როდესაც ყვავილს ლარნაკში ვათავსებთ, იგი კარგად ვეღარ იკლავს წყურვილს. სასურველია ყვავილის ღერო 2-3 დღეში ერთხელ გადაიჭრას. ღეროში გამავალი მიღები ღორწოთი რომ არ დაიცოს და ხელი არ შეუშალოს ღეროში წყლის გატარებას.

ყვავილი ირიბულად უნდა მოიჭრას; ამით წყლით შემწოვი ფართობი გადიდება და ღეროში წყალი უფრო ადვილად, უფრო თავისუფლად შევა.

ყვავილების მოჭრის დროს შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

მიხაკი უნდა მოსჭრათ, მაშინ როდესაც მისი კოკრები ნახევრად გაშლილია, გლადიორული მაშინ, როდესაც მისი ქვედა ორი-სამი ყვავილი იფურჩქნება. გეორგინი კი მაშინ, როდესაც მისი ყვავილების 3/4 ფურცელია გაშლილი.

მოჭრილ ყვავილს მზეს ნუ უჩვენებთ, სწრაფად მოათავსეთ ჭურჭელში და დაასხით წყალი — წყალი ყოველდღე უცვალეთ.

ბევრი მოჭრილი ყვავილი დიდხანს ინახავს თავის დეკორაციულობას, თუ, წყალში ჩაშვებამდე, ყვავილის ღეროს ქვედა ფოთლებს მოვაცილით.

წყალში ჩაშვებული ფოთლები, ღეროსთან ერთად ლებება, რაც იწვევს ყვავილის სწრაფ ლბობას და აჩქარებს ყვავილის ტოტის დაღუპვას.

ვარდის ტოტებს სასურველია მოვაცილოთ ეკლები, რადგან ლარნაკში წყლის გამოცვლის დროს ეკალი ფოთლებს აზიანებს.

ლარნაკში ჩაწყობილ ყვავილებს ცივი წყალი რომ ჩაუსხათ, იგი დაქკნება. ვინაიდან ყვავილის ღერო ვერ იწოვს ცივ წყალს, ყვავილი მალე იღუპება.

ღამით ყვავილებიანი ლარნაკი ფანჯრის რაფაზე ან სხვა გრილ ადგილზე უნდა მოათავსოთ.

ბევრია ისეთი ყვავილი, რომლის სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელს უწყობს წყალში მცირე დოზით მაგნიუმის, გოგირდმყავას, გვარჯილას და სპირტისნარის დამატება. ზაფხულის ცხელ დღეებში ერთ ლიტრ წყალში დეზინფექციისათვის ჩაყარეთ ხის ნახშირის წვრილი ნატეხები ან ნახევარი ჩაის კოვზი სუფრის მარლი.

ყვავილები ტბილის მოყვარულნიც არიან. ამიტომ კარგია, თუ წყალში ცოტა შაქარს ჩაყრით. ლომისპირას ნახევარპროცენტისანი შაქრის ხსნარი სჭირდება, ვარდს — შვიდპროცენტისანი, მიხაკს — თხუთმეტპროცენტისანი. ქრიზანტემას კი ნახევარ ლიტრ წყალში 1 ჩაის კოვზი შაქარი ჩაუყარეთ, მაშინ ის 10 დღის ნაცვლად 20 დღეს იყვავილებს.

თუ გინდათ, რომ ყვავილთა კოკრები სწრაფად გაიშალოს, 1 ლიტრ წყალში ჩაასხით 8-წ გრამი ნიშადურის ან ქაფურის სპირტი.

გახსოვდეთ, რომ დეკორაციულ ბუჩქის გაშლილი ყვავილების მოჭრა შეიძლება დილით. ნახევრად გაშლილი კოკრებისა კი საღამოს.

ყვავილის კოკრები შეიძლება მოიჭრას შეფერადების პერიოდში და მაშინაც, როდესაც ყვავილის ფურცლები დაიწყებს გაშლას. მოჭრილი ყვავილები სასურველია მოვათავსოთ დაჩრდილულ ადგილას და ყოველდღე უნდა ვუცვალოთ წყალი.

ყვავილი ისე უნდა მოჭრათ, რომ ბუჩქი არ დაზიანდეს, ამით ხელს შევუწყობთ მცენარის მეორეჯერ აყვავებას.

ყვავილებს სჭირან ისე, რომ ტოტზე სტოვებენ 4-5 ყვავილის ამონაყარს.

როცა ყვავილს ტენობა დაეტყობა, კიდევ ერთხელ გადასჭერით ღერო და აპყურეთ წყალი. დიდი ხნის ნამგზავრ და უფრო მეტად დამტკნარ ყვავილს, არ აწყენს წყალში ღრმად ჩაშვება.

თუ შენიშნავთ, რომ ყვავილი სწრაფად არ ცოცხლდება, მას ძველი ქაღალდი ან მსუბუქი მუყაოს კოლოფი დააფარეთ. 6-10 საათის შემდეგ მცენარე „გამოცოცხლდება“. გამოცოცხლებული ყვავილის ტოტები რამდენიმე წუთით შეიძლება თბილ წყალშიც მოვათავსოთ.

ამით ღეროში გაცივებული წვენი შეთბება და სწრაფად ამოძრავდება. ყვავილი კვლავ ოთახის ტემპერატურის მქონე წყალში უნდა მოათავსდეს.

ამას გარდა უნდა ვიცოდეთ, რომ შროშანა არ შეიძლება ლარნაკში სხვა ყვავილებთან ერთად მოვათავსოთ, ვინაიდან იგი გამოყოფს შხამიან ნივთიერებებს, რომლებიც ღუპავს სხვა ყვავილებს.

მიხაკი ვერ იტანს ხმაურს, თუ მას რადიომიმდებთან ახლოს მოვათავსებთ, იგი დაქკნება.

თუ შევასრულებთ მოჭრილი ყვავილის მოვლის ამ წესებს, მაშინ მიხაკი ასტრა, ლომისპირა, ქრიზანტემა, ნარგისი და სხვა ყვავილები, მათ შორის, ცხადია, გეორგინიც — 2-3 კვირას იცოცხლებს ლარნაკში.

თამარ ჯიქია

ცხოველებს მუსიკა უყვართ. მაგრამ, როგორ მოქმედებს მუსიკა მცენარეებზე, ეს დღემდე გამოურკვეველი იყო.

ამ საკითხით დაინტერესდა ინდოელი მცენარეთა ჭკუფი სინგრასა და პანახას მეთაურობით.

დაიწყეს ცდა. პირველად გამოიყენეს წყლის მცენარე „შიდრილა ვერტიცილიტა“. ყოველდღე დილით მცენარეს უმართავდნენ 25 წუთიან კონცერტს, რის შედეგად უჭრებდნენ ცხოველმოქმედება სწრაფად იზრდებოდა და პროტოპლაზმის მოძრაობა ჩქარდებოდა. მუსიკის შეწყვეტიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, მცენარეს უბრუნდებოდა ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი.

წარმატებით აღფრთოვანებულმა მცენარეებმა ჩაატარეს ცდა უფრო რთულ მცენარეებზე, მათ შორის მორცხვ მიმოზაზე. უპირველეს ყოვლისა უნდა გადაეწყვიტათ, რა სახის მუსიკა იმოქმედებდა ამ ახირებულ მცენარეზე. მრავალი ცდისა და სჯაბასის შემდეგ მკვლევარები შეჩერდნენ ძველ ინდურ სიმღერაზე „მაია მალვაგავლა რაგა“. ყოველდღე 25 წუთის განმავლობაში ეს ცისკრას ჰიმნი სრულდებოდა საცდელ მიმოზებისათვის.

მეორე ჭკუფი კი ასეთივე მიმოზებისა იმავე პირობებში აყვინენ ჩაუნებულნი, მაგრამ მოკლებული იყვნენ დილის სერენადებს.


ამ საოცარი ცდის შედეგები წარდგინოლ იქნა უკანასკნელ საერთაშორისო ბოტანიკურ კონგრესზე, რამაც გამოიწვია საყოველთაო განცვიფრება. აი რა აკვირვებდათ მცენარეებს: „მსმენელ“ მიმოზათა სიმაღლე 50 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე სინამდვილეში „მოწყენილთა“. ეს კიდევ ცოტაა, ბუჩქი უფრო გაშლილი იყო, მეტი ფოთლებით შემოსილი. ასეთივე შეგავლენა მოახდინა ვიოლინოზე დაკვრამ სხვა სახის მცენარეებზეც (ბალზამინები და სხვ.).

„ჩვენ არ მიგვაჩნია სასწაულად 4 1/2 მეტრ სიმაღლემდე მიღწეული მზესუმზირა, კარტოფილი ძალზე მსხვილ უამრავ ბოლქვებით, არნახული მოსავალი პურისა, სიმინდისა და ბრინჯის, რომელთა თესლი გასხივებული იყო ულტრაბგერებით, მაშ რატომ უნდა გვიკვირდეს, — ამბობენ ინდოელი მცენარეები, — ასეთივე შეგავლენა სმენითი ბგერებით.


შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ, როცა უფრო დაზუსტებით იქნება შესწავლილი მცენარეზე ბგერების შეგავლენის მექანიზმი, ბოძები რეპროდუქტორებით სოფლის მეურნეობის განუყოფელი ნაწილი იქნება. მინდვრებზე ნელა იფრენენ რეპროდუქტორიანი ვერტმფრენები, საიდანაც შესრულებული იქნება ვენახებისათვის ერთი მელოდია, პურის ყანებისათვის მეორე, ბაშბის პლანტაციებისათვის კი მესამე.

შესაძლებელია ისიც, რომ ერთსა და იმავე მცენარეს ზრდის სხვადასხვა სტადიაზე დასჭირდება სხვადასხვა სახის მუსიკა.


შესაძლებელია ისიც, რომ ერთსა და იმავე მცენარეს ზრდის სხვადასხვა სტადიაზე დასჭირდება სხვადასხვა სახის მუსიკა.



უტექსტო ხუმრობა პოლონურ ჟურნალ „სპორტოვიციდან“



უტექსტო ხუმრობა პოლონურ ჟურნალ „ვიციე ვარშავიდან“





ამ კოლოფში ისე მჭიდროდაა თევზები, როგორც ჩვენ კლასში ბავშვები „ლუ მანიტე დან“.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისი. ფუნქულიორი. ფურადი ფოტო მ. მიხაილოვისა. მეორე გვერდზე: ნატურ-მორტი. მხატვარი ზ. ნიკარაძე.

რედაქტორი გრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე | სპ. კვ ცენტრალური კომიტეტის გაგომცემლოგა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეკავა | ტექნოლოგიური დ. სეფიაშვილი. რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. | ტელ.—რედაქტორის და პ/მგ. მდივნის—3-52-69, განყოფილებების—3-95-39 | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 3 ლანი. | გარეკანსა და ჩანართს გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში. | ხელმოწერილია დასახელებად 5/III-59 წ. გამოცე. № 16. | ქალ. ზომა 70x108 1/2. | 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. | ტირაჟი 30.000. | ზეკ. № 99, უც 01610 | Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке) | Издательство ЦК КП Грузии | საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საბჭო-რუსული წყობითი კაზანის სპორტული ცენტრი

საბჭო-რუსული
სპორტული ცენტრი



ჩილიში ჩატარებული მსოფლიო პირველობა კალათბურთში საბჭოთა ნაკრები გუნდის დიდი წარმატებით აღინიშნა. ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ყველა შეხვედრაში, მათ შორის დღემდე უძლველთა სახელით ცნობილ აშშ-ის კალათბურთელებთან. თავიანთი ღირსეული საქციელით და სპორტული ეთიკით საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს არა მარტო ყველა შეხვედრა, არამედ სანტიაგოს მშრომელი მოსახლეობის გულიც.

სხვა გამოჩენილ კალათბურთელებთან ერთად საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ ქართველი სპორტსმენები გურამ მინაშვილი და გურამ აბაშიძე გ. მინაშვილი ფოტომოყვარულიცაა. მან ჩილიში ყოფნისას ბევრი საინტერესო სურათი გადაიღო, რომელთა ნაწილს აქ ვაქვეყნებთ.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

